საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლობით და ჭორებით ბურთის გაცდანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 9 აპრილი, 2014 წელი.

№72 (7453)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

„ოცდახუთი წლის შემდეგ“ ⑥-⑦

ნუ ვენდობით სიტყვაზე, ③

ანუ ცდილობენ თავს მოგვახვიონ უტოპიური, ქვეყნისთვის საზიანო და ამორალური გადაწყვეტილებები

რატომ იკარგებიან ახალაიას საქმის მოწმეები? ②

„ამ სპეცოპერაციის ორგანიზატორი ერეკლე კოდუა იყო“ ⑤

რას უპირებს რუსეთი უკრაინასა და საქართველოს? ⑧

იმედგაცრუება თუ სწორი პოლიტიკის შედეგი?.. ④

„პანორამა-თბილისის“ ბედი გაურკვეველია ⑨



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრემიერი ნილს სკოტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილი გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივ წარმომადგენელს საქართველოში ნილს სკოტს შეხვდა.

როგორც პრემიერის პრესსამსახურიდან იტყობინებიან, მხარეებმა საქართველოსა და გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომლობის სფეროებზე ისაუბრეს.

მათივე განმარტებით, პრემიერ-მინისტრმა მუდმივ წარმომადგენელს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე – „საქართველო 2020“ – და აღნიშნა, რომ დოკუმენტის მიზანია კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, ადამიანური კაპიტალის განვითარება და ფინანსების ხელმისაწვდომობა.

ირაკლი ღარიბაშვილის განმარტებით, საქართველოს მთავრობას აღნიშნულ სფეროებში გაერო-ს განვითარების პროგრამასთან თანამშრომლობის იმედი აქვს.

შეხვედრაზე საქართველოს მთავრობის მეთაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტებად რჩება ადამიანის უფლებები, ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საჯარო უწყებების გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება.

◎ ᲬᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲰᲭᲠᲘᲐᲜ...

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲨᲤᲝᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲥᲪᲔᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ...

25 ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ გასულა იმ 9 აპრილის სისხლიანი განთიადიდან, რომლის უშუალო მონაწილე და მოწმეც გახლავართ. ამდენივე წელიწადია, ვერ შევთანხმებულვართ ქართველები, რა იყო ეს, თავისუფლებისთვის ბრძოლაში გაღებული აუცილებელი მსხვერპლი თუ უაზროდ დაღვრილი სისხლი? – ორივე მოსაზრებას თავისი მომხრეები ჰყავს...

იქნებ იმიტომაც, რომ, ერთი მხრივ, შესაფერი პატივი მიეგო დაღუპულთა სულებისათვის და, მეორე მხრივ, რომ მოსაზრებათა ასეთი დიამეტრიული სხვადასხვაობისთვის სამანი დაედო, 1991 წლის 9 აპრილს ზვიად გამსახურდიამ მიზანმიმართულად გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაც თავისთავად გულისხმობდა, რომ მომავალში საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა არა 26 მაისს, არამედ 9 აპრილს უნდა გვეზეიმა, მაგრამ ეს „მომავალში“ აღარ დასცალდა, არც ზვიად გამსახურდიას და არც საქართველოს! მას შემდეგ, ყოველ წელიწადს დავობენ, როდის უნდა ვიზეიმოთ, 9 აპრილს თუ 26 მაისს, ბოლოს კი თითქოს ორივე დღეს აღვნიშნავთ, მაგრამ ორივეს, რაღაც უგემურად, თითქოსდა მხოლოდ ფორმალური ვალის მოხდის მიზნით...

წლეულს, კიდევ ერთი საიუბილეო თარიღია – 25 წლის წინათ გაისმა პირველად საქართველოში „ნატო“ და სწორედ 25 წლის წინათ, 9 აპრილს დაღვრილი სისხლის გამო „შეშფოთდა“ პირველად აშშ და მას შემდეგ შფოთავს, ღელავს და ბორგავს ჩვენი „მეგობარი“ ამერიკა. წლები კი „მიჰქრიან როგორც ნაბდით დაჭედილი ბედაურები“, რომელთა უკან ქართველთა სისხლი და ცრემლი, შაგრენის ტყავივით დაცოტავებული, დაქცეული საქართველო რჩება...

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲔᲘᲫᲔ

◎ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲔᲜᲓᲔᲢᲐ

რატომ იკარგებიან ახალაიას საქმის მოწმეები?

რა კავშირი აქვთ ყოფილ მაღალჩინოსნებს უგზო-უკვლოდ დაკარგულებთან და მათ მკვლელობებთან? – ეს კითხვა აქტუალური შალვა თათუხაშვილის გარდაცვალების შემდეგ, კიდევ ერთხელ გახდა აქტუალური. თათუხაშვილმა კუდ-ის ყოფილი უფროსის დათა ახალაიას და ლევან ქარდავას წინააღმდეგ გამოძიებას ჩვენება ნავთლუღის სპეცოპერაციის დეტალებზე მისცა, რა დროსაც სამი ახალგაზრდა ადგილზე მოკლეს. ამ ჩვენებით ირკვევა, რომ დათა ახალაიამ განახორციელა საკონტროლო გასროლა მათ წინააღმდეგ.

პარლამენტის ვიცესპიკერ მანანა კობახიძის შეფასებით, საპარლამენტო უმცირესობა აღნიშნული საქმით მანიპულირებს და სინამდვილეში არსებული ვითარებით დაინტერესებულიც არ არის.

„საბოლოო პასუხი გაეცემა ყველა კითხვას, როცა გამოძიება დასრულდება და დაიდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა. „ნაციონალური მოძრაობა“ ამ საქმის პოლიტიზებას ახდენს და დესტრუქცია შემოაქვს. წინასწარი განწყობები აქვთ შექმნილი, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ისინი საქმის ვითარებით არ არიან დაინტერესებული. მე ასეთი კითხვა მაქვს – იქნებ სწორედ ახალაიას არ აძლევდა ხელს ცოცხალი მოწმე?! წავიდეს მაშინ გამოძიება ამ ვერსიით“, – აღნიშნა მანანა კობახიძემ.

თათუხაშვილი ერთადერთი არაა, ვინც ძმები ახალაიების წინააღმდეგ გამოძიებას ჩვენება მისცა. შეგახსენებთ, რომ ახალაიების წინააღმდეგ ჩვენება მისცა მოკლული გია გორგაძის ძმამ, რომელიც ჩვენების მიცემის შემდეგ გაუჩინარდა. მაშინ მისი მეუღლე აცხადებდა, რომ გორგაძე ახალაიების ხალხს ჰყავდათ გატაცებული და აიძულებდნენ ეღიარებინა, რომ დათა ახალაიას წინააღმდეგ გამოძიებას ჩვენება ზეწოლის ქვეშ მისცა.

თათუხაშვილის მსგავსად, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ხურჩის საქმეზე ბრალდებული კუდ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსნის და ახალაიების უახლოესი მეგობრის რომან შამათავას საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე, ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე ალექსანდრე დანელია.

მისი გარდაცვალების ფაქტზე, გამოძიება თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე მიმდინარეობს. ალექსანდრე დანელიას გულმკერდის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა აღენიშნება. დანელიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რამდენიმე ვერსია ვრცელდება. ერთ-ერთი ვერსიით, პოლიციის მაღალჩინოსნის გარდაცვალება ხურჩის ინციდენტს უკავშირდება.

მკვლელობამდე რამდენიმე დღის წინათ დანელია, რომელიც ხურჩის ინციდენტში ბრალდებულ რომან შამათავას მეგობარი იყო, დაიკითხა, რომელმაც ჩვენება შამათავას წინააღმდეგ მისცა. ვრცელდება ვერსია, რომ დანელია მოკლეს. მკვლელობის მიზეზად ის გარემოება სახელდება, რომ ყოფილი ხელისუფლების მაღალჩინოსნებს მისი ალაპარაკება არ აწყობდათ.

„დანელია ინფორმირებული იყო რა ხდებოდა შამათავას თავს, როგორ იქცეოდა და რა დავალებებს ასრულებდა ის. აქიდან გამომდინარე, არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს მკვლელობა. მით უმეტეს, რომ ასეთი რამე პრაქტიკაში ჰქონდათ, როდესაც თავისთვის არასასურველ პირებს იშორებდნენ თავიდან და მერე ამას ფუთავდნენ როგორც თვითმკვლელობას.

გაიხსენეთ ლევან სამხარაულის ფაქტი. ზუსტად ვერ გეტყვით, ეს თვითმკვლელობა იყო თუ მკვლელობა, მაგრამ სულ არ გამიკვირდება, რომ ეს იყოს მკვლელობა, იმიტომ, რომ ასეთი რამ მომხდარა ამ ქვეყანაში“, – ამბობს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე.

სწორედ ახალაიების გარემოცვას ადანაშაულებს ზეწოლაში კიდევ ერთი მოწმე გოდერძი ჯოლოხავა. ყოფილი პატიმარი, რომელმაც ბაჩო ახალაიას საქმეზე ჩვენება სამჯერ შეცვალა, აცხადებს, რომ ახალაიას გარემოცვა მას შვილისა და ძმისშვილის მოკვლით ემუქრებოდა. პროკურატურამ ამ განცხადების საფუძველზე გამოძიება უკვე დაიწყო.

ჩნდება ლეგიტიმური კითხვა, ვის აწყობს საქმის ძირითადი მოწმეების ჩამოცილება, თუ არა ბრალდებულებს. უფლებადამცველი **დიმიტრი ლორთქიფანიძე** ამბობს, რომ ეს ადამიანები პირდაპირ კავშირში არიან ახალაიების მოღვაწეობის პერიოდთან.

„სანამ პროკურატურა არ გვეტყვის, რა სამართლებლივი გარემოება არსებობს, რომ მათი გარდაცვალება უკავშირდება ვიღაცის ინტერესებს, მანამდე ეს ვერსია ვერსიად დარჩება. კარგია, რომ ხელისუფლება ამ თემას აჟღერებს, მაგრამ ეს არაა საკამარისი. ჩვენი ლეგიტიმური მიზანია, რომ ყველა ეს საქმეები ახალაიებთან მიმართებაში უნდა იქნას გამოძიებული და პასუხგაცემული“, – აცხადებს დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ᲜᲐᲜᲐ ᲡᲐᲜᲘᲙᲘᲫᲔ

„ᲜᲐᲪᲛᲐᲘᲓᲐᲜᲘ“ ᲐᲠ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან „ახალგაზდული ცენტრის“ წარმომადგენლების მიერ აქცია გაიმართა. აქციის ბოლოს ორგანიზატორებმა „ნაციონალური მოძრაობის“ ოფისთან გაცვეთილი საბურავები დაყარეს. საბურავებს გადაფარებული ჰქონდა პლაკატი წარწერით: „ნაცმაიდანი არ იქნება“.

აქციის მონაწილეებს ასევე თან ჰქონდათ პლაკატები: „ქვეყანას არ აგარევინებთ“, „ბოლშევიკები“, რომელზედაც გამოსახული იყო ბოკერიას, უგულავას, თარგამაძისა და კანდელაკის ფოტოები.

„ახალგაზრდული ცენტრის“ ხელმძღვანელმა ზურა ქადაგიძემ აქციაზე განაცხადა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნდება, რადგან ამას საზოგადოება არ დაუშვებს. მისივე თქმით, მაიდანი საქართველოში არ განმეორდება.

როგორც ჟურნალისტებთან ზურა ქადაგიძემ განაცხადა, „ნაცმოძრაობის“ ოფისი არის რუსეთის ერთ-ერთი ბაზა, „აკრძალული“ ზონა.

– ეს შენობა გახლავთ რუსეთის ერთ-ერთი ბაზა, სადაც დემოკრატიას ამოფარებული ძალიან ბევრი პროექტი ხორციელდება, თითოეული მათი მოქმედება რუსეთის წისქვილზე ასხამს წყალს. ბოლო პერიოდში გამოიკვეთა მათი მისია და სურვილები, რომ საქართველოში დაიწყოს დესტაბილიზაცია. „ახალგაზდული ცენტრის“ წარმომადგენლები მოვედით აქ, ჩვენი ცენტრი და საზოგადოება კატეგორიულად აფრთხილებს მათ, თუ ისინი რაიმეს აპირებენ, აი, მოვიტანეთ საბურავები, ისინი მხოლოდ საბურავების ფუნქციას ასრულებენ. რომელიმე მათგანი გამოვიდეს და წაუკიდოს საბურავებს ცეცხლი, შემდეგ დაელოდონ საზოგადოების რეაქციას, – აღნიშნა ზურა ქადაგიძემ.

ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲘ

◎ ᲙᲐᲙᲐᲚ ᲒᲣᲚᲨᲘ

ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲠᲐᲖᲔᲑᲘ

● თავიდან იყო „ვარდების რევოლუცია“. ახლა „პაკრიშკების რევოლუციას“ გეგმავს „ნაცმოძიო“, ფაქტიურად „პაკრიშკები“ რუსული იქნება ნეტა, თუ დასავლეთიდან ჩამოიტანენ გემით? (ელიავაზე უკვე დეფიციტია).

● ჭიკაიძის განცხადებაზე მეტად, ირაკლი ალასანიას კომენტარმა გამაკვირვა, რომ ისიც მუშაობს უსაფრთხოების პრობლემებზე და საგანგაშო არაფერიაო!

არადა, თუ გავითვალისწინებთ სოციალურ ქსელში დადებულ ინფორმაციას, რომ ალასანია-ბოკერია ფარულად ხვდებიან ერთმანეთს თურქეთშიო, ალასანიას გულარხეინობა კიდევ უფრო საეჭვო გახდება!

რაც შეეხება ჭიკაიძეს, თქვენი მონა-მორჩილი 2 თვის წინათ ვწერდი, რომ კიევის მსგავსი არეულობები 17 მაისს იგეგმება-მეთქი...

● ეკა გიგაური წუხს.

კოჟორიძეც.

როდესაც ისინი წუხან, მეც ვწუხ.

ლომჯარიას იმედზეღა ვარ, რადგან ჯერ არ ვიცი, წუხს თუ არა იგი.

● „დავით უსუფაშვილი – დიახ, საქართველო ევროპაა“

ახალი ამბავი. დიახ, ევროპაა და ევროპაზე მეტიც!

ჯერ ევროპული „ვეფხის და მოყმის ლექსი“ და „საბრალო დედაბრისასა“ წამაკითხონ და მერე მელაპარაკონ ღირებულებებზე.

● თავისი ქვეყნის მოსახლეობასთან შეფარდებით, ციხეში 9 წელიწადში არ ჩაუყრია მსოფლიოს არც ერთ თანამედროვე ხელისუფლებას იმდენი ადამიანი, რამდენიც სააკაშვილის რეჟიმმა. თუ დავუშვებთ, რომ ერთ ქართველ კაცს საშუალოდ 4 უახლოესი ოჯახის წევრი-ნათესავი მაინც ჰყავს, გამოდის, ეს უბედურება ოჯახის დონეზე შეეხო 1.5 მილიონ კაცზე მეტს. ეს კი ნიშნავს, რომ ქვეყნის 40%-მდე იყო ციხეში.

● სამთავრობო პიარი-მეთქიიი... იკრიახეთ ახლა მიშას სტილში ამ ტიპისა: „პირველად საქართველოს ისტორიაში ანგელა მერკელმა ირაკლი ღარიბაშვილი გერმანიაში მიიწვია“... ანტიპიარი რომაა მაი ამბავი, ვერ ხვდებიით?.. ახლა გიტარებთ ერთ უფასო გაკვეთილს... იმ ევროპაში ქე რო გინდათ და ქე რო არ იცით იქ რა ხდება, როგორაა ეგ ამბავი იციით, „სუპერპიარშიკებო“?.. ასეთ რამეს სამთავრობო პიარი კი არ აწვდის მედიას „აღფრთოვანებული ტონით, ხელგაშლილი გამოთქმებით და გაღიმებული სიფათის თანხლებით“... ასეთი სახის ინფორმაცია „უეცრად ჩნდება“, რომელიმე წამყვან მედიასაშუალებაში, როგორც ამ მედიასაშუალების მოპოვებული მასალა, რომელსაც მერე სამთავრობო „პრეს სპიკერი“ ადასტურებს 30-წამიანი კომენტარით... თვარაა ანტირეკლამაა მაი, ბაბა, სხვანაირად, ანტირეკლამაა.

ᲐᲛᲝᲙᲠᲘᲑᲐ

ᲒᲘᲐ ᲒᲐᲑᲠᲘᲩᲘᲫᲔ

ნუ ვენდობით სიტყვაზე,

ანუ ცდილობენ თავს მოგვახვიონ უტოპიური, ქვეყნისთვის საზიანო და ამორალური გადაწყვეტილებები

სიტყვას, განსაკუთრებით, მშობლის, მკურნალის, სულიერი მოძღვრისას და, საერთოდ, დამაჯერებლად ნათქვამს, მით უფრო, ყურისთვის სასიამოვნოდ მოსასმენს, უდიდესი ძალა აქვს. ეს უხსოვარი დროიდანაა ცნობილი და ყველას კარგად მოგვეხსენება, რითაც ბოროტად სარგებლობენ გაქნილი ადამიანები – აფერისტები და პოლიტიკოსები, ერთნი ცალკეულ ადამიანებს ატყუებენ, მეორენი – ხალხის მასებს.

მას შემდეგ, რაც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით შესაძლებელი გახდა სიტყვის ფართო მასებამდე მიტანა ჯერ პრესა-რადიოთი, შემდეგ კი ტელევიზიით და ელექტრონული მედიით, განსაკუთრებით კი, რაც აუდიოვიზუალური კავშირებით მთელი მსოფლიო ერთმანეთს დაუკავშირდა, ინფორმაციად ქცეული სიტყვა უკვე „მასობრივი განადგურების“ იარაღად გადაიქცა – ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების და, მაშასადამე, მისი ძალისხმევის ნებისმიერი მიმართულებით წარმართვის იარაღად, ანუ მოკლედ – ხალხთა მასების მანიპულირების უმძლავრეს იარაღად! ატომურისგან განსხვავებით მას კარგა ხანია იყენებს ყველა სახელმწიფო როგორც საშინაო, ისე საგარეო მიზნებისთვის. ამ თემაზე საუბარმა შორს რომ არ წაგვიყვანოს, ჩვენი სახლით შემოვიფარგლებით.

როდესაც სახელმწიფო მანქანა საკუთარი თუ სხვა სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, მტრის ხატის შექმნითაა დაკავებული და ყოველდღე გაყალბებულ ინფორმაციას ან, კიდევ უფრო დამაბნეველ, ნახევარსიმართლეს გვაწვდის მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით, და თავისი „სიმართლის“ დასტურად უცხოურ მედიასაც იშველიებს (მასზე ბევრად უფრო გამოქექილს და სტაჟიანს დეზინფორმაციის გავრცელებაში!), ძალიან ძნელია ამ ზღვა ინფორმაციის მორევში გარკვევა და მასში ჩათრევის თავიდან აცილება – ეს კარგად მცურავებსაც, ანუ მოსახლეობის მწიგნობარ, მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებში მეტნაკლებად ჩახედულ ადამიანებსაც კი უჭირთ, არათუ მოსახლეობის უდიდეს უმრავლესობას, რომელიც ყოველდღიურ ლუკმაპურზე მაფიქრალი, დღის ბოლოს მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებას თუ უყურებს ტელევიზორში და რაიმე გასართობ პროგრამას ან სერიალს. ამიტომაც, მოსახლეობის დიდი ნაწილი (არამარტო ჩვენთან!) „ჭურში ზის“, და წარმოდგენაც არა აქვს იმ მოვლენების წარმოშობის მიზეზებზე, რაც ხან ფერად რევოლუციებად ინათლება და ხანაც – დემოკრატიისთვის წარმოებულ სამართლიან ომებად.

ყველა ხელისუფლება და, ბუნებრივია, ჩვენიც ცდილობს თავისი გადაწყვეტილებების დამაჯერებლად, იდეალურ ფერებში წარმოჩინებას მის ხელთ არსებული პრესა–ტელევიზიის (ძირითადად) მეშვეობით, და ამაში მიუღებელი ან გასაკვირვი არაფერია: ყველას მოსაწონი პოლიტიკის გატარება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მე მხოლოდ იმ სიტყვებსა და ნაბიჯებზე შევჩერდები, რასაც, ჩემი შეფასებით, აბსურდული (უტოპიური), ქვეყნისთვის საზიანო (დანაშაულებრივი) და უზნეო (ამორალური) ჰქვია.

ერთობ გადამეტებულად რომ არ მოეჩვენოს ვინმეს ჩემი ეს, სათაურშივე გამოტანილი შეფასებები, დავიწყებ იმ საკითხის განხილვით, სადაც ერთადაა თავმოყრილი სამივე: **<u>უტოპიურობა, ქვეყნისთვის საზიანო ქმედებები და ამორალობა.</u>** ესაა ნატო, რომლის ღია კარში შესასვლელად ხან ასპირანტის წიგნაკს გვაძლევენ, ხანაც მაპზე უკეთესს, მაგრამ შესვლით ვერაფრით ვერ შევედით, და ვერც ვერასოდეს შევალთ, სანამ რუსეთი იარსებებს! რუსეთი კი იარსებებს მანამდე, სანამ დანარჩენი მსოფლიო იარსებებს, ყოველ შემთხვევაში, ისე მაინც არ დაგლახდება, რომ ჩვენ ვერ წაგვიმძღვაროს წინ!

ამაზე ბევრჯერ თქმულა, მაგრამ ხელისუფლება და მისი მხარდამჭერი ექსპერტები, ნაცვლად იმისა, რომ არგუმენტებით გვარწმუნებდნენ ნატოში შესვლის შესაძლებლობა– მიზანშეწონილობაზე, თოფნაკრავივით გაურბიან ამ საკითხზე ღია მსჯელობას და ზოგადი, არაფრისმთქმელი ფრაზებით, ანუ მამალი ტყუილებით ცდილობენ დაგვაჯერონ დაუჯერებელში – უახლოეს მომავალში ნატოს წევრობაში და ამის შედეგად მოპოვებულ უსაფრთხოებაში. ცხადია, პირველ რიგში, რუსეთის აგრესიისგან დაცულობას გულისხმობენ ისინი (აქვე მინდა, განვმარტო, რომ „ხელისუფლებაში“ ვგულისხმობ როგორც ახალ, ისე ძველ ხელისუფლებას, რადგანაც ნაცებს არანაკლები წარმომადგენლობა ჰყავთ სახელისუფლებო რგოლებში და ტელეეკრანიდანაც ისინი უფრო ხშირად გვამუნათებენ, ვიდრე ქოცები)!

<u>დავიწყოთ ნატოში შესვლით, ანუ უტოპიურობით.</u> იმის მიუხედავად, რომ აბსოლუტურად ყველამ, ხელისუფლებასთან ერთად მისმა მხარდამჭერმა ექსპერტებმაც შესანიშნავად იციან ნატოს წესდების ორი მუხლი – ნატოში მისაღებ სახელმწიფოს ერთხმად უნდა უჭერდეს მხარს ნატოს ყველა წევრი-ქვეყანა და მას არ უნდა ჰქონდეს სასაზღვრო პრობლემები, ისინი მაინც ცდილობენ ჩვენს დარწმუნებას იმაში, რომ დღეს თუ არა ხვალ, უეჭველად ამოვყოფთ თავს ნატოში. აი, კითხვას, თუ როგორ დავძლევთ ნატოს წესდების ამ ორ მოთხოვნას, ანუ როგორ დაგვიჭერს აბსოლუტურად ყველა(!) სახელმწიფო მხარს რუსეთის ნების საწინააღმდეგოდ, როცა თითქმის ყველანი რუსეთის გაზზე არიან მიბმულნი (ზოგი სანახევროდ და ზოგიც მთლიანად) და, ან როგორ დახუჭავს ნატო თვალს ჩვენს არათუ სასაზღვრო პრობლემებზე, არამედ გაცილებით უარესზე – საქართველოს ორ რეგიონში მდგარ რუსეთის(!) ჯარზე, ამის განმარტებით არავინ იწუხებს თავს. რატომ? იმიტომ, რომ პრონატოელებს პასუხი, უბრალოდ, არ აქვთ. ამის ნაცვლად, ისეთი რიხით აცხადებენ: აჰ, ვინ კითხავს რუსეთს საქართველოს მიღებაარმიღებასო, თითქოს ჩვენ გვეკავოს დედამიწის ერთი მეშვიდედი და არა – რუსეთს! ნორმალური ადამიანისთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია, თუ რისი იმედი აქვთ ხელისუფლებაში ან ექსპერტთა კოჰორტაში, როცა ნატოში გაწევრების უტოპიურ ოცნებაზე ასეთი ოპტიმიზმით სავსენი გვესაუბრებიან!

ახლა განვიხილოთ ხელისუფლებისთვის სასურველი ვარიანტი, რასაც იგი, ალბათ, ახლო მომავლისთვის ელოდება. დავუშვათ, ერთი მხრივ, ევროპამ მიაგნო ალტერნატიულ გაზის წყაროს, ნაკლებად დამოკიდებული გახდა რუსეთზე და გადაწყვიტა, ერთხმად დაუჭიროს მხარი საქართველოს ნატოში მიღებას და, მეორე მხრივ, საქართველოს ხელისუფლებამაც, ნატოში გაწევრების სანაცვლოდ, აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე უარის თქმა გადაწყვიტა. ამით მოიხსნება ზემოთ მოყვანილი ორი, თითქოსდა, გადაულახავი ბარიერი და ნატოც რეალური გახდება.

ვითომ შესაძლებელია მოვლენების ამგვარად განვითარება? ორივე ვარიანტის განხორციელება ძნელად წარმოსადგენია, რადგან ევროპა კიდევ კარგა ხანს, ახლო მომავალში მაინც, რუსულ გაზზე იქნება დამოკიდებული (სხვა კავშირებზე რომ არაფერი ვთქვათ), ხოლო, რაც შეეხება ქართველი ხალხის დაყაბულებას აფხაზეთ-სამაჩაბლოზე უარისთქმაზე, ამას მხოლოდ მასობრივი რეპრესიების ხარჯზე თუ მიაღწევს ხელისუფლება. მაგრამ, მოდით, ხალხის იძულებითი დათანხმების თუ პასიურობის შესაძლებლობაც დავუშვათ (დაშინებით, ტელეგამოჩერჩეტებით თუ ახალი გაყალბებული პლებისციტით გამოწვეული),. რუსეთი, რუსეთი დაგვავიწყდა? იქნებ, ვინმე ფიქრობს, რომ ის გულარხეინად დაგვაკვირდება შორიდან და ხელსაც არ გაანძრევს, აქაოდა ამერიკამ სანქციები არ დამიწესოსო?! ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს იმაზე, რომ, როგორც კი რეალურად დადგება საქართველოს ნატოში მიღების საკითხი, იმავე წუთს, სულ რაღაც ორ საათში, საქართველოს ტერიტორიის 100% ოკუპირებულ იქნება რუსეთის მიერ! პუტინმა ყველას გასაგონად და მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ განაცხადა, რომ იგი რუსეთის საზღვრებთან (ღობესთან) ნატოს არ გაჭაჭანებს! ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი მოახდენს არა მარტო საქართველოს, არამედ მოსაზღვრე ყველა იმ ქვეყნის ოკუპაციას, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის მოცემულ ეტაპზე, და მას წინ ვერ აღუდგება ვერც ევროპა და ვერც ამერიკა თავ-თავიანთი შეშფოთებებით! არც საქართველოს და არც არავის გულისთვის დასავლეთი პლანეტის და, მაშასადამე, საკუთარი თავის დამღუპველ მესამე მსოფლიო ომს რომ არ წამოიწყებენ, ამას გიჟის მეტი ყველა ხვდება.

> **პუტინმა ყველას გასაგონად და მიუკიბ-მოუკიბავად, პირდაპირ განაცხადა, რომ იგი რუსეთის საზღვრებთან (ღობესთან) ნატოს არ გააჭაჭანებს! ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი მოახდენს არა მარტო საქართველოს, არამედ მოსაზღვრე ყველა იმ ქვეყნის ოკუპაციას, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის მოცემულ ეტაპზე, და მას წინ ვერ აღუდგება ვერც ევროპა და ვერც ამერიკა თავ-თავიანთი შეშფოთებებით!**

<u>ხელისუფლების უგუნური აქტიურობით და პროვოკაციული ნაბიჯებით გამოწვეული სახელმწიფოს ოკუპაცია ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო, საზიანო ქმედებებად ითვლება ყველგან, და მკაცრადაც ისჯება!</u> მხოლოდ ჩვენთან შეფასდა 20 % ტერიტორიის დაკარგვა მაღალი ნაცის მიერ „ნაციონალურად“ – რა მოხდა რაღაც 150 სოფელი დავკარგეთ და 25 ათასი ახალი ლტოლვილი დაგვემატა, ქვა და ღორღი იყო ის მიწები, რას მივტირითო! არც ამის მთქმელს უნდა ეპატიოს ჩადენილი დანაშაული და მკრეხელური სიტყვები (რამდენი დროც არ უნდა გავიდეს!) და, არც – მის არდამსჯელ, პოტენციურად დანარჩენი 80 %-ის დამკარგავ ხელისუფლებასაც!

ახლა, კიდევ ერთი, თითქოსდა, რთული რამ – **<u>ხელისუფლების უზნეობა-ამორალობა დაგვრჩა დასამტკიცებელი.</u>** ზემოთ თქმული – ხალხის მოტყუება და ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაც უზნეობის კატეგორიაში გადის, მაგრამ ბევრად უფრო მძიმე ხარისხის ამორალობაზე მინდა გავამახვილო ყურადღება, რაც ნატოში გაწევრებას უცილობლად მოყვება.

ჩემი მოსაზრების მტკიცებასაც „დავუშვათ, და...“-თი დავიწყებ, მით უმეტეს, კარგადაა ცნობილი, რომ გეომეტრიაში ამ გზით რთული თეორემების დამტკიცება საკმაოდ ადვილად ხერხდება. დავუშვათ იდეალურზე იდეალური ვარიანტი: ამ გზით თუ იმ გზით, ნატოს წესდების მუხლებიც დაიძლია და რუსეთშიც ისეთი ხელისუფლება მოვიდა პუტინის შემდეგ, რომ აფხაზეთ-სამაჩაბლოც დაგვიბრუნა, ჯარებიც გაიყვანა და ნატოში შესვლაზედაც მწვანე შუქი აგვინთო! ამაზე უკეთესი რა უნდა ინატრო კაცმა, მაგრამ მაინც ვიკითხოთ: **<u>ავშენდებით თუ დავიღუპებით ნატოში შესვლით?</u>**

დღეს ყველანი მოწმენი ვართ, თუ როგორ ითვისებს ქართულ მიწებს თურქეთი, განსაკუთრებით, აჭარაში და ხელისუფლება არავითარ ზომებს არ იღებს ამის ასალაგმავად. ხვალ, ანუ ნატოში შესვლის შემდეგ, თურქების შემოსვლა საქართველოში (სამხედრო ძალისაც, ნატოს ეგიდით!) უდავოდ მოიმატებს, და ხელისუფლება, სურვილის შემთხვევაშიც კი, წინ ვერ აღუდგება ნატოს წევრ ჩვენ მეზობელს, რომელიც დიდ თურქეთზე ოცნებობს და აჭარაზე პრეტენზიებიც ბევრჯერ გამოხატა საჯაროდ. დანარჩენ საქართველოზედაც რომ უჭირავს თვალი, არც ეს წარმოადგენს საიდუმლოს. თურქეთში სამუშაოდ ჩასულ ქართველებს როგორც მონებს ისე რომ ეპყრობიან, დიდი ხანია ვიცით, მაგრამ თბილისშიც არანაკლებს ბედავენ – დედაქალაქის მთავარ ქუჩაზე გახსნილ კაფეებში ქართველებს არ უშვებენ, თურქი ინვესტორები ქართველ ექიმებს გინებას არ აკლებენ და პატრიარქის სურათის ჩამოხევასაც კი ცდილობენ! **<u>თურქების თავხედობის უფრო შორს წასვლა სწორედ ჩვენი ნატოში გაწევრების შემდეგ მოხდება,</u>** და ჩვენი უსუსური ხელისუფლების მოღალატეობრივი უგუნურებაც მაშინ გახდება კიდევ უფრო თვალში საცემი! მაგრამ უკვე გვიანი იქნება! ძალიან ადვილი მისახვედრია, თუ რა მოგველის ახლო მომავალში ნატოს წყალობით – 10 წელიწადში ასე დაგვასხდნენ თავზე ნაცების შემოყვანილი თურქები და ნატოს სახელით შემოჯლიგინებულები და ხელ-ფეხგახსნილნი, ხომ სულ გაგვათურქებენ, დიდი ალბათობით, ორსამ თაობაში ენასაც დავკარგავთ, რწმენასაც და მამულსაც!

როდესაც შენი ხალხის ეროვნული ინტერესების დაცვის ნაცვლად, წინდაუხედავი თუ გამიზნული ნაბიჯებით ერი მეთოდურად მიგყავს გადაშენებაგადაგვარების გზით, სწორედ ამას ეწოდება დანაშაული და ამორალობა, რისი დამტკიცებაც გვინდოდა!

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ერთი დასკვნის გამოტანა უდავოდ შეიძლება: **<u>აბსოლუტურად ყველა (პირველ რიგში, ცხადია, ხელისუფლებაში), ვინც „ნატო-ნატოს“ გაიძახის, ვისაც სჯერა ნატოში გაწევრების და მისი იმედი აქვს, არის უცოდინარი და დიდი ბრიყვი, ხოლო, ვინაც იცის(!), თუ რა სავალალო შედეგები შეიძლება მოყვეს ამ გაუაზრებელ მხოლოდ(!) ლტოლვასაც კი და, მით უფრო, მათი ოცნების ახდენას – ნატოში შესვლას, საქართველოსთვის და ქართველი ერისთვის (ოკუპაცია რუსეთის მხრიდან ან გათურქება „ისტორიული მეგობრისგან“), ის ქართველობაზე, მართლმადიდებლობაზე ხელაღებული, უკვე გადაგვარებული, ვერცხლზე გაყიდული არსებაა!</u>**

იაკობ ლეჟავა,
2 აპრილი, 2014.

(დასასრული იძნება)

◎ სიტყვა საქვეყნოდ გასაგონი

იმედგაცრუება თუ სწორი პოლიტიკის შედეგი...

პოლიტიკური კოალიცია „ოცნების“ გამარჯვების შემდეგ თითქმის წელიწდნახევარი გავიდა და „ოცნების“ გულმხურვალე მხარდამჭერთა რიგები გარკვეულად მცირდება. ბევრი ასეთი განწყობილების მიზეზად იმედის გაცრუებას ასახელებს. იმედგაცრუებაში ერთ-ერთ მთავარ საკითხად ისინი ასახელებენ იმას, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ძალამ ყოფილ მმართველ პარტიას იმაზე მეტი აპატია, ვიდრე თავის დროზე „ნაცებმა“ – შევარდნაძის პოლიტიკურ მომხრეებს. შევარდნაძის დროინდელი ხალხი მასობრივად გაყარეს სამსახურებიდან, წაართვეს ქონება, მიატანინეს კორუფციით მოტაცებული თანხები, ყველა ვინც მათ მომხრეებად არ ჩათვალეს უთავბოლოდ ჩაყარეს ციხეებში, სასამართლო და პროკურატურა აქციეს ანგარიშსწორების მექანიზმად, ნებისმიერი ადამიანის დაჭერა-დაპატიმრება ყოველგვარი კანონის დაცვის გარეშე შეეძლოთ და ა. შ. დაუსრულებლად.

ყოველივე ზემოაღნიშნული ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ ამ ხალხს ვერავინ შეედავება, მათი მოსაზრება ლოგიკურია და განსჯას არ უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ აქ არსებობს ერთი „მაგრამ“, რომელსაც ძალიან დინჯი განსჯა სჭირდება.

ალბათ, დღეს არც მომხრეებს და არც მოწინააღმდეგეებს იოტისოდენა ეჭვი არ რჩებათ, რომ თუ არა ბიძინა ივანიშვილი, ზემოაღნიშნულ „მონსტრს“ ვერავინ დაანგრევდა, თანაც ყოველგვარი ძალადობისა და რევოლუციის გარეშე. გავიხსენოთ 2011 წლის შემოდგომა, როცა ბატონი ბიძინა გამოვიდა და განაცხადა პოლიტიკაში თავისი შემოსვლის შესახებ. დღევანდელი გადასახედიდან რომ ყველაფერი ისე ახდა, როგორც ის წინასწარმეტყველებდა, ეჭვსგარეშეა, ბატონი ბიძინას მენეჯერულმა თვისებამ და პოლიტიკურმა ალღომ ზუსტად გამოთვალა ის სცენარი, რაც განვითარდა.

ალბათ, უნდა გავიხსენოთ ზოგიერთი თეზისი, რომელსაც ის პოლიტიკაში შემოსვლისთანავე უსვამდა ხაზს. უპირველეს ყოვლისა, ის, რომ თუ მისი პოლიტიკური ძალა მოვიდოდა ხელისუფლებაში, სააკაშვილივით არ „დაერეოდა“ ხალხს და იმ საჯარო მოხელეებს – პოლიტიკოსებს, ჯარისკაცებს, პედაგოგებსა და ა. შ. ვინც თავის პროფესიებს შეესამებოდნენ, ხელს არ ახლებდნენ და შეუნარჩუნებდნენ სამუშაო ადგილებს. ბევრს მაშინ ეს წინასაარჩევნო იდეოლოგია-პიარი ეგონა, მაგრამ გავიხსენოთ რა მოხდა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ. სამინისტროებში და უწყებებში მხოლოდ ზედა ეშელონის პოლიტიკოსი ფიგურები შეიცვალნენ, ძირითადი აპარატები კი უცვლელი დარჩა. არც ერთი პოლიციელი, ჯარისკაცი, პედაგოგი, ექიმი და ა. შ. სხვა საჯარო პირები, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან არ გაუყრიათ. თუ იყო პირებზე მცირე გადაცდომები, ისიც ადგილობრივ ხელისუფალთა მიზეზით ხდებოდა და ხდება, მაგრამ ეს პროცესი მეტ სიღრმეში აღარ წასულა. ახლა ადგილობრივი არჩევნები ახლოვდება და ვის უჭერს ხალხი მხარს, ესეც სარკესავით გამოჩნდება.

ახლა სხვა სფეროში – ეკონომიკაში ჩავიხედოთ. ბატონი ბიძინა ამბობდა, რომ ბიზნესი ხელუხლებელი იქნებოდა, ვერავინ მათ ვერ დაატერორებდა, სახელმწიფო მათგან მხოლოდ კანონიერ გადასახადებს მოითხოვდა და ა. შ. ძალიან გულღვარძლიანი უნდა იყო, არ დაინახო, რომ ეს ერთი-ერთში სრულდება.

უამრავი სხვა დაპირება შესრულდა ან სრულდება, მაგრამ ამჯერად ძირითად თემას „იმედგაცრუებას“ დავუბრუნდეთ.

საქართველომ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ (90 წლებიდან დღემდე) რამდენიმე ეტაპი გაიარა. ეს ეტაპები, რადგან პერსონებთან ასოცირდება, დავყოთ პერიოდებად. „კომუნისტები“, „მრგვალი მაგიდა“, „მოქალაქეთა კავშირი“, ნაციონალური მოძრაობა, „ოცნება“ (შევარდნაძე, გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი, ივანიშვილი).

როცა ხელისუფლებაში „მრგვალი მაგიდა“ – ზ. გამსახურდია მოვიდა, ფაქტობრივად, დაიწყო ძველი ხელისუფლების დროს არსებული არა მარტო მმართველი ძალის, არამედ იმ პერიოდში მომუშავე ადამიანების აბსოლუტური იგნორირება. თანამდებობები დაიკავეს ხატოვნად რომ ვთქვათ, ქუჩიდან მოსულმა სრულიად გამოუცდელმა ადამიანებმა, შედეგად მიიღეს ის, რაც მიიღეს.

შემდეგ მოვიდნენ ვითომ დემოკრატები, მაგრამ მაინც ყოფილი კომუნისტები, ე. შევარდნაძე, და დაიწყეს ე. წ. „ზვიადისტების“ ყოველმხრივ რბევა, ისე თითქოს ზ. გამსახურდიას ხელისუფლებაში ერთი ნათელი წერტილიც კი არ იყო. შედეგად მიიღო ის, რაც მიიღო.

შემდგომ გამოჩნდნენ „ნაციონალები“ სააკაშვილის მეთაურობით და გააკეთეს ის, რაც ზევით ნაწილობრივ აღვწერეთ, მათაც შედეგად მიიღეს ის, რაც მიიღეს და ამ მოძრაობის ლიდერი ბატონი მ. სააკაშვილი ახლა თავის ქვეყანას უცხოეთში ემალება.

ზემოაღნიშნულ პროცესებს თუ დავაჯამებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაფერმა ამან ავნო საქართველოს და მის მოსახლეობას. საქართველოს შეეძლო, რომ არა აღნიშნული მავნე პროცესები, დღეს ყოფილიყო გაცილებით უფრო ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური ქვეყნების რიგებში. გამოვიდა ისე, რომ მთელი 20-25 წელი საქართველო ტრიალებდა ერთ წერტილზე, რაც ნათლად დაინახა „ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა და გადაწყვიტა ამისთვის წერტილი დაესვა, რათა მისი პოლიტიკური ძალა ყოფილიყო არა მარტო მომხრეთა, არამედ სრულიად საქართველოს მოსახლეობის პოლიტიკური ძალა. სწორედ ეს სიახლე ტრიალებს დღეს ქვეყანაში და თუ ეს იდეა ვერ ან არ განხორციელდება, ჩვენი ქვეყანა კვლავ გაიგრძელებს ჩვეულ წრეზე ბრუნვას, შესაბამისი დამღუპველი შედეგებით.

ერთადერთი, რასაც ამჟამად ამ პროცესებში ვისურვებდით, ის იქნება, რომ აღნიშნული იდეოლოგია ძალიან მალე გაისიგრძეგანონ როგორც პოლიტიკური ბლოკის „ოცნების“ მომხრეებმა, ასევე მოწინააღმდეგეებმაც.

ისე არავინ გაგვიგოს, რომ ყველა პოლიტიკურ ძალას „ოცნებაში“ ვერეკებოდეთ, ღმერთმა დაგვიფაროს იმისაგან, რომ ნებისმიერ მართველ ძალას არ ჰყავდეს ოპოზიციური ოპონენტი, ოღონდ ეს უნდა იყოს ნამდვილი ოპონირება, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ხალხისა და ქვეყნის სიყვარული და არა საკუთარი თავისა და ოჯახის მერკანტული მიზნები.

ასე რომ, „იმედგაცრუებულებს“ უნდა ვუთხრათ, რომ ნუ გაუნაწყენდებიან ბატონ ბიძინას და მის პოლიტიკურ გუნდ „ოცნებას“, თუ ეს ქვეყანა მარტო მათი კი არა, ყველასი იქნება და ქვეყნის სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური მართვით მიიღწევა საერთო სახალხო კეთილდღეობა, უფრო უკეთესია, ვიდრე დღემდე გვქონდა.

ოთარ ჭითანავა,
ყოფილ პარლამენტართა კავშირის გამგეობის წევრი

◎ ალიან-ჩალიანი

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ანგარიშს გვაბარებს

სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ განხორციელებულ ღონისძიებაზე მინისტრმა მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, ცალკეულ სექტორთან დაკავშირებულ რეფორმებზე, საკანონმდებლო ცვლილებებზე, დაცულ ტერიტორიებზე და გამოვლენილ საერთაშორისო მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება.

ხათუნა გოგოლაძემ ისაუბრა კანონპროექტებზე – „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების“, „ნარჩენების მართვის“ და „წყლის რესურსების მართვის“ შესახებ. მინისტრმა ყურადღება გაამახვილა პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებულ გამწვანების აქციის „მწვანე მომავლის“ შესახებ, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით გამწვანების ღონისძიებებს გულისხმობს. სამინისტროს ინფორმაციით, აქციის ფარგლებში 2014 წლის ბოლომდე 500 000 ნერგი უნდა დაირგოს.

ხათუნა გოგალაძემ ასევე ისაუბრა კანონმდებლობის დარღვევის ფაქტების შესახებ. კერძოდ, საანგარიშო პერიოდში, იანვარ-მარტში გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 1641 ფაქტი დაფიქსირდა. ამასთან მინისტრმა ყურადღება გაამახვილა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, შს სამინისტროს და შვეიცარიის განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს შორის გაფორმებულ ურთიერთგაგების მემორანდუმზე, რომლის თანახმადაც, ზემო სვანეთში ბუნებრივი კატასტროფების პრევენციისა და მზადყოფნის საპილოტე პროექტი განხორციელდება.

ინტერპრესი

◎ პურისჭამა შემოსავლებისსამსახურულად

აქვთ შემოსავალი და რატომაც არა?

სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკმაოდ „ნერწყვის მომგვრელი“ ინფორმაცია გავრცელდა.

2014 წლის 17 მარტს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – „შემოსავლების სამსახურმა“ რესტორან „ფუნიკულიორში“ ქონდარში დამარინადებული ბატკნის ბარკლებზე იქეიფა (რა თქმა უნდა, ფხალეულის, სხვადასხვა სალათების, ხიზილალის, ხაჭაპურების, ჩირის, ჯანჯუხას და სხვა „ატრიბუტების“ თანხლებით).

იქეიფეს და იქეიფეს. სულ რაღაც 12149 ლარი დაუჯდათ ეს „პურისჭამა“ და დარწმუნებული ვარ, რომ თვეში 150 ლარის მომლოდინე პენსიონერების სადღეგრელო ფეხზე ადგომით, ხოლო სოციალურად დაუცველთა და სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ადამიანების სადღეგრძელო სკამებზე შედგომით დალიეს (არადა, 12149 ლარი 80-ზე რომ გავყოთ დაახლოებით 151 ლარი გამოდის).

ეს „განტვირთვის“ საღამო მათ სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ ჩატარებული ორდღიანი კონფერენციის პირველი დღის აღსანიშნავად გამართეს. კონფერენცია სულ რაღაც 34000 ლარი დაჯდა (დარბაზის დაქირავება, „ქოფი ბრეიქი“, ლანჩი, მიკროფონები, განათება და ა. შ.).

თუ ამას ტრანსპორტირებას და ე. წ. გაუთვალისწინებელ ხარჯებს დავუმატებთ, ეს „ღონისძიება“ სავარაუდოდ 100 000 ლარამდე დაჯდებოდა. რა მაგის პასუხია და მაინტერესებს ამ ორდღიანმა კონფერენციამ, თავისი „ტაშ-ფანდურით“, ქონდარში დამარინადებული ბატკნის ბარკლებით და სხვა „ტრამპა-ცუმპათი“ 100 000+1 ლარის შედეგი თუ მოიტანა!

გია გაბრიჭიძე

1.ხელშეკრულების საგანი და შესყიდვის ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემოსავლების სამსახურის სახსრებით რესტორნის მომსახურების (CPV55300000) შესყიდვა. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის 10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის და შემოსავლების სამსახურის უფროსის 2014 წლის 12 მარტის N14404 ბრძანების საფუძველზე.

1.2 შესყიდვის ობიექტია მიმწოდებლის სარგებლობაში არსებულ რესტორან „ფუნიკულიორში“ შემსყიდველის სტუმრებისათვის სარესტორნო მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დანართი N1-ში მოცემული მენიუს შესაბამისად.

1.3 ხელშეკრულების დანართი N1 წარმოდგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მოქმედებს მასთან ერთად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2.ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს *არაუმეტეს 13500 (თოთხმეტასი ხუთასი) ლარს* ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯებისა და გადასახადების (დ.ღ.გ. და სხვა) ჩათვლით. კერძების, ცივი სასმელების ჩამონათვალი, ულუფების რაოდენობა და ერთეულის ფასი მოცემულია ხელშეკრულების დანართი N1-ში. ასევე, ამავე დანართით განსაზღვრულია ცხელი სასმელების ერთეულის ღირებულება, რომელსაც შემსყიდველი გადაიხდის ფაქტობრივად მიწოდებული რაოდენობის მიხედვით.

2.3. 2.2 მუხლში აღნიშნული თანხა შეიძლება შემცირდეს (დაზუსტდეს) მიწოდებლის მიერ ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით, შესაბამისად, ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მიხედვით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

3.1. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით ხელშეკრულების მიმდინარეობის ნებისმიერ ეტაპზე შემსყიდველი ახორციელებს კონტროლს.

3.2.ხელშეკრულების მიმდინარეობის კონტროლის მიზანს წარმოადგენს:

3.2.1 მომსახურების გაწევის ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;

3.2.2. შესაბამისი შემოწმების აქტის საფუძველზე გაწეული მომსახურების ან/და მისი ნაწილის ხარისხის ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა ინსპექტირების აქტის გაფორმება.

3.2.3 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებზე კონტროლის განხორციელება, მიმწოდებელთან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება და ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

3.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ „შემოსავლების სამსახურის“-ს უფროსის ბრძანებით განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

4. მომსახურების გაწევის პირობები

4.1 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს 2014 წლის 17 მარტს 19:00 სთ-ზე შემდეგ მისამართზე: რესტორანი „ფუნიკულიორი“, ქ. თბილისი, მთაწმინდა.

მომსახურების პრეისკურანტი

ცხრილი N1

№	დასახელება	ერთეულის ფასი	ერამაკი	ჩადგმა	ჯამი
1	ფხალეული (ბადრიჯანი, ბულგარული, ისპანახი)	22.50	400	22	495
2	ყველის ასორტი (ნადული პიტნითა და სულგუნის ფირფიტებით იმერული, სულგუნი, შებოლილი სულგუნი)	21.50	450	22	473
3	გებჯალია	18.50	300	22	407
4	ხორცეულის ასორტი (მოხარშული საქონლის ენა, ბუჟენინა, მოხარშული კანჭი და ბურვაკი)	48.00	400	22	1056
5	თევზეულის ასორტი და ხაჭიჭალა (მოხარშული ზუთხი, შებოლილი ორაგული)	78.00	280	22	1716
6	კიტრისა და პომიდორის სალათი ნიგვზით	11.00	600	22	242
7	ქათმის სალათი	14.50	300	22	319
8	ზეთისხილი	8.00	170	22	176
9	ტყემალი	2.00	100	22	44
10	პომიდორის საწებელი	2.00	100	22	44
11	მჭადი (3 ცალი 1 პურის კალათში)	5.00		22	110
12	შეგრული ხაჭაპური (6 ნაჭრიანი)	13.00		22	286
13	**HOT ITEMS**				
14	ხბოს ბეჭი აჯიკით	76.00	500	22	1672
15	ქონდარში დამარინადებული ბატკნის ბარკალი ბოსტნეულით	132.00	1	11	1452
16	შემწვარი კალმახი (2 ცალი 1 თეფშზე) Grilled Trout (2 pieces)	37.00	500	22	814
17	სოკო კეცზე სულგუნით	14.00	220	22	308
18	გრილზე შემწვარი ბოსტნეული	16.00	400	22	352
19	შემწვარი კარტოფილი (მექსიკური)	10.50	600	22	231
20	**DESSERT**				
21	მთლიანი ხილის ასორტი	28.00		22	616
22	ნირი, ნურხვალა, ტკლაპაი, ჯანჯუხა	38.00		22	836
23	ტექნიკური მომსახურების საფასური				500
				სულ ჯამი	12149

ცხრილი N2

№	ცივი სასმელების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	მთლიანი
1	ბორჯომი,წყაროს წყალი	100	2,50	250
2	ბორჯომი,მინერალური წყალი	100	2,70	270
3	ლიმონათი ზედაზენი	150	3,00	450

შენიშვნა: ზემოთჩამოთვლილს მენიუს მოთხოვნის შესაბამისად დაემატება ცხელი სასმელის მთლიანი ფასი, ფაქტობრივად მიწოდებული რაოდენობებისა და ცხრილი N3-ში მოცემული ჩამონათვალის შესაბამისად.

ცხრილი 3

№	ცხელი სასმელების დასახელება	ერთეულის ფასი
2	ჩაი	5.00
3	ყავა	5.00
4	ამერიკანო	6.00
5	ესპრესო	5.00
6	ორმაგი ესპრესო	7.50
7	მოკა	8.50
8	კაპუჩინო	7.00
9	ლატე	8.00

„შემსყიდველი“
სსიპ „შემოსავლების სამსახური“
ნიკოლოზ კახელიშვილი
ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

„მიმწოდებელი“
შპს "ჯე ემ თი მთაწმინდა"
მედეა მენგელია
ღონისძიებებმენეჯერი

◎ დეპუტატ გელაშვილის ცემის გამო

„ამ სპეცოპერაციის ორგანიზატორი ერეკლე კოდუა იყო“

დეპუტატ ვალერი გელაშვილზე თავდასხმის საქმეში გამოძიება დასკვნით ეტაპზეა. ინფორმაციას მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე ირაკლი შოთაძე ადასტურებს. აღნიშნულ საქმეზე ბრალს სოდ-ის ყოფილ უფროსს ერეკლე კოდუას წაუყენებენ. ბრალი დაუმძიმდება ყოფილ შს მინისტრს ვანო მერაბიშვილსაც. რაც შეეხება ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, გამოძიება მას დეპუტატის წინააღმდეგ სპეცოპერაციის დაკვეთაში დასდებს ბრალს. ვალერი გელაშვილი საქმეში, როგორც დაზარალებული ისეა ცნობილი. ის დარწმუნებულია, რომ მისი ცემის ფაქტზე ერეკლე კოდუას ბრალს წაუყენებენ.

For.ge ვალერი გელაშვილს ესაუბრა.

— პროკურატურა ამბობს, რომ თქვენზე განხორციელებული თავდასხმის საქმეში გამოძიება დასკვნით ეტაპზეა მისული. ცნობილია, რომ ბრალს წაუყენებენ ერეკლე კოდუას. თქვენ დაგკითხათ პროკურატურამ, შეგიძლიათ გვითხრათ ვის წინააღმდეგ მიეცით ჩვენება?

— ჩემი ინფორმაციით, რამდენიმე დღეში საქმე გაიხსნება და ბრალს წაუყენებენ ერეკლე კოდუას. არ გამოვრიცხავ, რომ ბრალი დაუმძიმდეს ყოფილ შს მინისტრ ვანო მერაბიშვილსაც. ყველა კვალი ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილამდე მიდის. მიხეილ სააკაშვილი იყო დამკვეთი, შემსრულებლები — ვანო მერაბიშვილი და ერეკლე კოდუა. თავდასხმიდან ორი თვის შემდეგ უკვე ვიცოდი, საიდან მოდიოდა ეს ბრძანება და ვინ შეასრულა ეს ოპერაცია. ზუსტად ვიცი, რომ ამ საკითხზე ბრალს წაუყენებენ ერეკლე კოდუას.

— თქვენ, მიხეილ სააკაშვილის, ვანო მერაბიშვილის და ერეკლე კოდუას წინააღმდეგ მიეცით გამოძიებას ჩვენება?

— რა თქმა უნდა, მათ წინააღმდეგ მივეცი ჩვენება. ამ სპეცოპერაციის ორგანიზებაში ბრალს ვდებ ამ სამეულს. რაც შეეხება ერეკლე კოდუას, ის 200 მეტრში იჯდა მანქანაში, ელიავას ბაზრობის სიახლოვეს და იქიდან აკონტროლებდა ამ სპეცოპერაციას.

— მხოლოდ ერეკლე კოდუას და ვანო მერაბიშვილს წაუყენებენ ბრალს?

— არა მგონია, რომ მარტო ერეკლე კოდუას წაუყენონ ბრალი. კოდუას გარდა, ამ სპეცოპერაციაში სხვებიც მონაწილეობდნენ, რომელთანაც კოდუას ჰქონდა სატელეფონო კონტაქტი. ჩემთვის უცნობია ვისთან ჰქონდა კოდუას სატელეფონო კონტაქტი, მაგრამ ეს ინფორმაცია უკვე ცნობილია გამოძიებისთვის. ბრალს ასევე წაუყენებენ ვანო მერაბიშვილს და მიხეილ სააკაშვილს. მაგრამ, ჯერ კოდუა უნდა ჩამოიყვანონ, რომ მან დაადასტუროს ყველაფერი, ანუ, უფრო კონკრეტულად, მან უნდა დაადასტუროს, რომ ბრძანება მოდიოდა ზემოდან. ერეკლე კოდუა თავის თავზე არ აიღებს ამ სპეცოპერაციის შესრულებას.

ეს სპეცოპერაცია რომ ჩატარდა, მანქანაში მჯდომი ერკლე კოდუა შეამჩნიეს, რომელიც თვალს ადევნებდა სპეცოპერაციას. ასეთი სპეცოპერაციის დაგეგმვა მხოლოდ სპეცსამსახურებს შეუძლიათ. ყველაფერი მოწმობს, რომ ეს სპეცოპერაცია წანასწარ იყო დაგეგმილი. წინა დღეებში გაფუჭდა ჩემი დაჯავშნილი მანქანა, მერე სერვისის ბლოკირება, რომ მანქანა არ გაეტარებინათ კომპიუტერში. ეს იყო წინასწარ ორგანიზებული სპეცოპერაცია, რაც მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების სამსახურს შეიძლებოდა გაეკეთებინა. მაშინ ერეკლე კოდუა სოდ-ის ხელმძღვანელი იყო.

— ერეკლე კოდუას მეუღლემ რამდენიმე კითხვით მოგმართათ. როგორც ნანუკა ჟორჟოლიანი ამბობს, მას უთხრეს, რომ იარაღით დაუნდობლად სცემეთ გიორგი ქართველიშვილი, ასევე ის ამბობს, რომ უცნობი ადამიანისგან შეიტყო, რომ თქვენ მფარველობას უწევთ პროსტიტუციას... და კიდევ უამრავ ბრალს გიყენებთ. რას იტყვით ამ ბრალდებებზე?

— საერთოდ, პირველად მესმის ვინმე გიორგი ქართველიშვილის სახელი და გვარი. არ ვიცი, ვინ არის. რამდენიმე დღეში ირაკლი კოდუას ბრალს რომ წაუყენებენ, მერე შემიძლია შევხვდე ნანუკა ჟორჟოლიანს და ყველაფერზე გავცე პასუხი. ერთი რამე მაინტერესებს — მთელი 9 წლის განმავლობაში აქ ვიყავი, თუ ასეთ რაღაცებს ვაკეთებდი, „ნაციონალური მოძრაობა“ მაპატიებდა და ბრალს არ წამიყენებდა? ეს ხომ აბსურდია. ნანუკა ჟორჟოლიანს რეკლამას ნამდვილად ვერ გავუკეთებ, ყველამ თავის თავს და თავის ოჯახს მოუაროს.

ერეკლე კოდუა იყო ამ სპეცოპერაციის ორგანიზატორი, ამაში ეჭვიც არ მეპარება. აი, ბრალს რომ წაუყენებენ, მერე მელაპარაკოს ნანუკა ჟორჟოლიანი, მერე გავცემ ყველაფერზე პასუხს საჯაროდ მაგ ქალბატონს. ნანუკა თავის მეუღლეს უკვე ვეღარ უშველის. ახლა თავის შვილებს მიხედოს და წესიერად გაზარდოს. ვუსურვებ, რომ დედაჩემის დღეში არ ჩავარდეს.

— კოდუამ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ დატოვა ქვეყანა. თქვენი საქმე არ იქნება ერთადერთი, რომელსაც წაუყენებენ კოდუას. მას ბრალი ერთ-ერთ ეპიზოდში უკვე წაყენებული აქვს. იმედი გაქვთ, რომ მისი ექსტრადირება მოხდება?

— რაც შეეხება ჩემს ეპიზოდს, პირის ლიკვიდაციამდე მიყვანა, ეს ის დანაშაულია, რომელსაც კოდუა ვერ გაექცევა. თუ არ ჩამოვა, ჩამოიყვანენ. ის არაა პოლიტიკური ფიგურა, რომ პოლიტიკური თავშესაფარი მოითხოვოს. ის იყო სპეცსამსახურის ხელმძღვანელი და არა მგონია, რომ რომელიმე ქვეყანამ პოლიტიკური თავშესაფარი მისცეს.

— მაშინ, როდესაც თქვენზე განხორცელდა თავდასხმა, ირაკლი ოქრუაშვილსაც ეკავა მაღალი თანამდებობა, ის არ მონაწილეობდა ამ საქმეში? მით უმეტეს, რომ ამ საქმეზე გასულ კვირას ის დაკითხა პროკურატურამ...

— ირაკლი გამოძახებული იყო, მაგრამ რა თემაზე დაიკითხა, არ ვიცი, გამოძიება არ მეუბნება. სანამ საქართველოში ჩამოვიდოდი, დავიწყე მოკვლევა, ვისი ორგანიზებული იყო ეს სპეცოპერაცია. ვიცოდი, რომ ან უნდა ყოფილიყო ოქრუაშვილი, ან მერაბიშვილი. როცა მივიღე ინფორმაცია, რომ ოქრუაშვილი ამაში მონაწილეობას არ იღებდა, ამიტომ უფრო ჩამოვედი. ოქრუაშვილი ისეთი ღვარძლიანი ადამიანია, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანდა. მერაბიშვილი არაა ის ფიგურა, რომელიც დაწყებულ საქმეს ამთავრებს.

— ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ირაკლი ოქრუაშვილმა ჩვენება მისცა სააკაშვილის, მერაბიშვილის და კოდუას წინააღმდეგ. თქვენ თუ გაქვთ ინფორმაცია, რა ჩვენება მისცა ოქრუაშვილმა?

— ამ საქმის გახსნაში იარაკლი ოქრუაშვილის ჩვენება დამეხმარა.

— მინდა, გკითხოთ ნუგზარ წიკლაურის ცემის ფაქტის შესახებ. თქვენ საკუთარ თავზე გამოსცადეთ „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ანგარიშსწორება. შეგიძლიათ შეადაროთ ეს ორი ფაქტი ერთმანეთს?

— ძალადობის მომხრე არ ვარ. ისე, ცემასაც და ნაცემსაც გააჩნია. ვერ ვიტყვი, მათ მიერ არის თუ არა ორგანიზებული, მაგრამ ფაქტი ჯიუტია. როცა სპეცსამსახურები გეგმავენ ასეთ სპეცოპერაციას, ეს შეიძლება ფატალურ შედეგამდე მივიდეს, რაც ჩემს შემთხვევაში მოხდა. თავის ქალა მქონდა გატეხილი, შემთხვევით დავრჩი ცოცხალი. წიკლაურის შემთხვევას რაც შეეხება, ეს სპეცსამსახურების მიერ რომ ყოფილიყო დაგეგმილი, არა მგონია, ასე მსუბუქად გამოსულიყო. ამიტომ, რაღაცა ეჭვები არსებობს, მაგრამ მე ვერაფერს ვერ დავამტკიცებ. არის გამოძიება და გამოძიებამ დადოს დასკვნა, საქმე ბოლომდე უნდა მიიყვანონ.

თამთა ქარჩავა

◎ მხილება

„ეგ ათი ათასი კაცია თქვენი ხერხემალი და ასე უნდა მიაგდოთ ისინი?!“

ბიზნესმენ ლევან ვასაძის მწვავე კრიტიკას სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. საქმე ისაა, რომ ბიზნესმენი არსებული ხელისუფლების მხარდამჭერად ითვლება. იგი სამთავრობო გუნდთან თანამშრომლობს, მათთან ერთობლივად პროექტებსაც ახორციელებს და, იმავდროულად, სუსხიან კრიტიკასაც არ ერიდება.

ვასაძის პოზიცია მოულოდნელი აღმოჩნდა ხელისუფლების წარმომადგენლებისთვისაც, თუმცა, მათ ბიზნესმენის მხილება გაუპროტესტებლად მიიღეს. უმრავლესობის დეპუტატები ეთანხმებიან მას, რომ ბიზნესში სამართლიანობის აღდგენის ნიშან-წყალიც კი არ შეინიშნება.

უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის განცხადებით, ხელისუფლებას ზოგადად სამართლიანობის აღდგენის მიმართულებით პროგრესი აქვს, მაგრამ დაზარალებული ბიზნესმენების საქმეებში კი წინსვლა არ არის.

როგორც ქუცნაშვილი აღნიშნავს, ფინანსური მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას უჭირს აიღოს ვალდებულება საკუთარ თავზე, თუმცა, მიიჩნევს, რომ ადრე თუ გვიან დაზარალებული ბიზნესმენებისთვის კომპენსაციის საკითხზე მუშაობა უნდა დაიწყოს. ბიზნესმენებისთვის ქონების ჩამორთმევა სხვადასხვა ფორმით განხორციელდა და ამ ყველაფრის შესასწავლად შესაბამისი ჯგუფია შესაქმნელი.

უმრავლესობის კიდევ ერთი წევრი გედევან ფოფხაძე თვლის, რომ ეს საკითხი აუცილებლად უნდა გადაიჭრას. „სჯობს, ჩვენი ხელისუფლება ქონებაჩამორთმეული ბიზნესმენების საკითხს შეეწიროს, ვიდრე ამ მიმართულებით ნაბიჯი არ გადაიდგას“, — აღნიშნა ფოფხაძემ და აქვე დასძინა, რომ ეს პროცესი არ იქნება მარტივი, რადგან გადაწყვეტილებების მიღება რისკთან არის დაკავშირებული. კარგად უნდა გაირკვეს რა შედეგი შეიძლება მოუტანოს ამ პროცესმა როგორც სახელმწიფოს ფინანსურ სტაბილურობას, ასევე სამართლებრივ-ინსტიტუციურ მხარეს.

ბიზნესმენი კახა ოქრიაშვილი კი დაზარალებული ბიზნესმენების პრობლემიდან გამოსავალს რატომღაც ვერ ხედავს. **„ეს თემა ურთულესი ჩიხია, მე ამ საკითხზე პასუხი არ მაქვს!“,** — განუცხადა „კომერსანტს“ ოქრიაშვილმა.

სამართლიანობის აღდგენა კახა ოქრიაშვილისთვისაც მნიშვნელოვანია, თუმცა, როგორც ბიზნესმენი აღნიშნავს, ეს უნდა ეხებოდეს არა მარტო ქონებაჩამორთმეულებს, არამედ იმ ბიზნესმენებსაც, რომლებსაც ე.წ. წართმეული ქონება სამართლიანად აქვთ შეძენილი.

რაც შეეხება სამართლიანობის აღდგენის კომისიის შექმნას, ოქრიაშვილი მიიჩნევს, რომ მსგავი კომისიები ამ საქმეში ვერაფერს შეცვლის. ამისათვის პროკურატურაც საკმარისია. ბიზნესმენს ეჭვი ეპარება, რომ ასეთი ტიპის კომისიებმა პროკურატურის საქმიანობა ამ მიმართულებით დააჩქაროს.

ბიზნესმენმა ლევან ვასაძემ ხელისუფლება სამართლიანობის აღდგენის გაჭიანურებაში პირველად ამხილა. ბიზნესმენის განცხადებით, სამართლიანობის აღდგენის პროცესს ჩვენი საზოგადოება უკვე წელიწადნახევარია ელოდება: **„330 000 — ეს არის ციფრი სააკაშვილის რეჟიმის ცხრაწლიან პერიოდში დაპატიმრებული ადამიანებისა. იგი ამ მაჩვენებლით საქართველოს მსოფლიოში პირველ, სამარცხვინო ადგილზე ამყოფებს. ეს არის ქვეყნის მოსახლეობის დაახლოებით 7.5%, ქართული ეთნოსის დაახლოებით 10% და სამუშაო ასაკის ქართველი მამაკაცების 35%. ამდენი ხალხი, თავისი ქვეყნის მოსახლეობასთან შეფარდებით, ციხეში 9 წელიწადში არ ჩაუყრია მსოფლიოს არც ერთ თანამედროვე ხელისუფლებას“,** — აცხადებს ვასაძე.

მისივე განცხადებით, ახალი ხელისუფლება ვერ შეძლებს ეკონომიკის წინ წაწევას, ქვეყანაში ჯანსაღი კულტურული პროცესების სტიმულირებას, გადაშენების პირას მისული ეროვნების შობადობის გაზრდას თუ არ გაჩენს სამართლიანობის განცდას მოქალაქეში.

„ახალ ხელისუფალთ კერძო და საჯარო საუბრებში არგუმენტად მოჰყავთ ის ფაქტი, რომ ჩვენს სახელმწიფოს არა აქვს ფული, რომ დაუბრუნოს ამ გაწეწილ და დაჩაგრულ ხალხს. ჯერ ერთი, როგორც უკვე ვთქვით, ქართველი ხალხისათვის ფული არ არის მთავარი. ბოდიში მაინც მოუხადონ მათ სახელმწიფოს სახელით.

აიღონ და ყველა ის პოლიტიკოსი, მოსამართლე, პროკურორი და ბადრაგი გაასამართლონ კანონით, ვინც ამას სჩადიოდა, მათი უკანონო ქონების კონფისკაცია მოახდინონ და რამდენსაც შეძლებენ, იმდენი კომპენსაცია მისცენ ხალხს. სხვა სახის კომპენსაციებიც მოიფიქრონ: მაგალითად, სამართლიანობის აღდგენის კომისია შექმნან, რომელშიც შევლენ სახელისუფლებო სამივე შტოს ხელმძღვანელი და პატრიარქი და შეიმუშაონ სამართლიანობის აღდგენის მეთოდიკა, ანუ აიყვანონ ეს პროცესი სახელმწიფო პრიორიტეტის რანგში არა სიტყვებით, არამედ საქმით.

რეჟიმის მსხვერპლთ სიცოცხლის ბოლომდე საგდასახადო და სამედიცინო შეღავათები დაუწესონ და ა.შ. უამრავი რამის გაკეთება შეიძლება. ჩვენი ზოგიერთი მოხელის გასაგონად ვიტყვი: ეს იქნება არა სახელმწიფოს ხარჯი, არამედ სახელმწიფოს მოგება, რადგან წელში გამართული, რეაბილიტირებული მოქალაქე მეტს შეიტანს იმ ბიუჯეტში, რომლითაც სახელმწიფო იკვებება. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, როდესაც გვესმის, ამდენს ჩვენი სასამართლო ვერ მოერევაო“, — ამბობს ვასაძე.

ბექა დანელია

◎ ალიან-ჩალიანი

ტყემალაძე უსუფაშვილის განცხადებას არ ეთანხმება

დეპუტატი ზურაბ ტყემალაძე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებას არ ეთანხმება იმის შესახებ, რომ ნატო-ში წევრობის გარეშე საქართველო მსოფლიო რუკიდან გაქრება.

— რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია სხვადასხვა ქვეყნების მხარდაჭერა საქართველოს ევროპულ სტრუქტურებში გაერთიანების მიმართულებით, მაგრამ ამ შემთხვევაში ვერაფრით ვერ დავეთანხმები იმაში, რომ საქართველო მსოფლიო რუკიდან გაქრება. საქართველო და ქართველი ერი დარჩება და ნამდვილად არ გაქრება, — განუცხადა ჟურნალისტებს ზურაბ ტყემალაძემ. აღნიშნული განცხადება უსუფაშვილმა ევროკავშირის პარლამენტების თავმჯდომარეების კონფერენციაზე, აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის ქვეყნების საპარლამენტთაშორისო თანამშრომლობის სესიის ფარგლებში სიტყვით გამოსვლისას გააკეთა.

ინტერპრესი

მარად მოუშუშებელი 9 აპრილი

აქტივის გაფართოებულ კრებაზე განაწილებული და გაწერილი იყო ყველა ის ფუნქცია და დავალება, რომლებიც კონკრეტულ პარტიულ მუშაკებს უნდა შეესრულებინათ:

ცენტრალური კომიტეტის მიმართვა საქართველოს მოსახლეობისადმი ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნოდარ ჭითანავამ წაიკითხა, ხოლო ღონისძიებათა ნუსხა — ასევე ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგიის დარგში — ნუგზარ ფოფხაძემ.

ღონისძიებათა ნუსხა „ცეკას“ იდეოლოგიური განყოფილების მიერ იყო შემუშავებული, რომელსაც უშუალოდ ნიკოლსკი ხელმძღვანელობდა და მანვე გადაწყვიტა, ვის რა უნდა გაეხმოვანებინა.

პირადად მე ამ ყველაფრისთვის დიდი მნიშვნელობა მაშინ არ მიმინიჭებია, თუმცა, როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, ეს ფუნქციური განაწილება მითქმა-მოთქმისა და ჩემთვის დღემდე აუხსნელი განაწყენების საბაბი გახდა.

ქალაქის საბჭოს თავმჯდომარეს ირაკლი ანდრიაძეს ასევე დაევალა მომიტინგეებისადმი მიმართვის მომზადება, რომელიც მთავრობის სახლიდან უნდა გაევრცელებინა. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ანდრიაძეს მიმართვა მზად ჰქონდა და დავალების შესაბამისად აპირებდა კიდეც მის წაკითხვას, მაგრამ გარკვეული ადამიანების „რჩევით“ გადაიფიქრა.

8 აპრილს კიდევ ერთი მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი რამ მოხდა: აქტივის მსვლელობის დროს მომაწოდეს ინფორმაცია, რომ რუსთაველზე ჯავშანტექნიკა გამოჩნდა და სამხედრო ვერტმფრენებმა თბილისის თავზე გადაიფრინეს.

გივი გუმბარიძეს და ბეგლარ მახარაშვილს დავავალე, სასწრაფოდ გაერკვიათ სიტუაცია. მათ მალევე მაცნობეს, რომ ფაქტი დადასტურდა, მსხვერპლი არ ყოფილა, მხოლოდ მილიციის ერთი მანქანა დაზიანდა სამხედრო ტექნიკასთან შეჯახებით.

ეს უკვე მეტისმეტი იყო!

რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ცენტრალური კომიტეტის შენობაში პარტაქტივის ოთხასკაციან კრებას ვატარებდით და ვმსჯელობდით, როგორ განგვემუხტა სიტუაცია, ამ დროს კი რუსთაველზე ტანკები დასეირნობდნენ!

თანაც ეს პირველი შემთხვევა არ იყო...

ნოემბრის აქციების დროს სანაპიროზე, სიონთან ასევე გამოჩნდა ტანკების კოლონა, რომელსაც, როგორც შემდეგ განაცხადეს, ვითომ სამხედრო ბაზისკენ გზა აერია. მომიტინგეებსა და მათ ლიდერებზე არანაკლებ აღმაშფოთა მაშინ ამ ფაქტმა.

იმ დღეს კი, 8 აპრილს, როდესაც დარბაზი ჯერ კიდევ არ იყო ინფორმირებული (მაგრამ გუმბარიძემ და მახარაშვილმა ფაქტი უკვე დამიდასტურეს), გამწარებულმა პრეზიდიუმშივე ხმამაღლა ვკითხე კოჩეტოვს და როდიონოვს:

— ვისი ბრძანებით გამოჩნდა თბილისის ცაზე და თბილისის ქუჩებში მძიმე სამხედრო ტექნიკა?! ამჯერადაც შეეშალათ გზა?..

კოჩეტოვმა განაცხადა, რომ ეს მისი ბრძანება იყო და იქვე განმარტა:

— ეს აპრობირებული მეთოდია, რამდენიმე თვის წინ სწორედ ამგვარი ქმედებით ასიათასიანი მიტინგი უპრობლემოდ და უსისხლოდ დავშალეთ ბაქოში.

კოჩეტოვს არ ესმოდა ან არ სურდა გაეგო, რომ მიუხედავად კავკასიელობისა, ქართველები და აზერბაიჯანელები განსხვავებული ზნე-ჩვეულების ხალხი ვართ. იმან, რამაც ბაქოში სასურველი შედეგი გამოიღო, თბილისში უკუშედეგი მოგვცა — ახალგაზრდობა უფრო აქტიური და აგრესიული გახდა, მომიტინგეების რიცხვმაც იმატა.

გაფართოებული აქტივის შეკრების დასრულებიდან მალევე გაიმართა თავდაცვის საბჭოს სხდომაც.

მართალია, ამ სხდომის სტენოგრაფიულ ჩანაწერს გრიფი „საიდუმლო“ ადევს, მაგრამ ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ერმა ყველა საიდუმლოს უნდა ახადოს ფარდა, გაიაზროს და გააანალიზოს ყოველი სიტყვა, გამოვიდეს მითებიდან და ლეგენდებიდან და საერთო სიტუაციის გათვალისწინებით თავად გააკეთოს ობიექტური დასკვნები:

საიდუმლო.

ეგზ. №1.

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს 1989 წლის 8 აპრილის სხდომის ოქმი.

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს წევრები:

ჯ. ი. პატიაშვილი — საქ. კპ ცკ პირველი მდივანი.

ბ. ვ. ნიკოლსკი — საქ. კპ ცკ მეორე მდივანი.

ო. ე. ჩერქეზია — საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

ზ. ა. ჩხეიძე — საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

გ. გ. გუმბარიძე — საქართველოს უშიშროების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე.

ლ. ლ. შარაშენიძე — საქ. სსრ სამხედრო კომისარი.

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

თავდაცვის საბჭოს წევრები: ჯ. ი. პატიაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, გ. გ. გუმბარიძე.

საქ. სსრ თავდაცვის საბჭოს მდივანი პ. ი. გიორგაძე.

სხვები: კ. ა. კოჩეტოვი — არმიის გენერალი, თავდაცვის მინისტრის მოადგილე.

ი. ნ. როდიონოვი — გენერალ-პოლკოვნიკი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი.

ა. ნ. ნოვიკოვი — გენერალ-ლეიტენანტი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს წევრი.

შ. ვ. გორგოძე — საქ. სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ა. გ. კარანაძე — საქ. სსრ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

გ. ა. შარაშენიძე — საქ. სსრ იუსტიციის მინისტრი.

ნ. ხ. შოშიაშვილი — საქ. სსრ პროკურორის პირველი მოადგილე.

სხდომას არ ესწრებოდა თავდაცვის საბჭოს წევრი ლ. ლ. შარაშენიძე — საქ. სსრ სამხედრო კომისარი — საპატიო მიზეზით (იმყოფებოდა გარდაცვლილი გენერლის აბრამიძის დაკრძალვაზე).

დღის წესრიგი:

პოლიტიკური მდგომარეობა რესპუბლიკაში და მისი ნორმალიზაციის ღონისძიებათა შესახებ

თავმჯდომარეობდა ამხ. ჯ. ი. პატიაშვილი

ჯუმბერ პატიაშვილი

„ოცდასამი წლის შემდეგ“

სხდომის მონაწილენი თავისუფალ, საშუალო გარემოში რამდენიმეჯერ გამოთქვამდნენ საკუთარ მოსაზრებას, აფასებდნენ რესპუბლიკაში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას, მდგომარეობიდან გამომდინარე აკეთებდნენ დასკვნებს და აყენებდნენ წინადადებებს კონკრეტულ ღონისძიებათა შესახებ.

თავდაცვის საბჭოს სხდომაზე თითოეული დამსწრის გამოსვლები შემდეგნაირად ჯამდება:

ჯ. ი. პატიაშვილმა — რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა დაახასიათა, როგორც უკიდურესად გამწვავებული, რომელიც კატასტროფულის მიჯნაზეა.

არაფორმალური ორგანიზაციებისა და ჯგუფების ლიდერები აზრის პლურალიზმიდან მოქმედებაზე გადავიდნენ. მათ მოახერხეს, თავიანთი მიზნებისთვის გამოეყენებინათ აფხაზების წერილი ქვეყნის ხელმძღვანელობისადმი, არასანქცირებულ მიტინგებსა და დემონსტრაციებში ჩაეთრიათ მოსახლეობის მნიშვნელოვანი რაოდენობა, განსაკუთრებით, მოსწავლე ახალგაზრდობა, სტუდენტობა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ ტარდება მეცადინეობები სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ქ. თბილისში პარალიზებულია სახელმწიფო ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების მუშაობა, ალყაშია მოქცეული მთავრობის სახლი, გამოდიან მთავრობის ფიზიკურად მოსპობის მუქარით, რადგან იგი არაკანონიერად და თვითმმარქვიად მიაჩნიათ. ჩვენი მცდელობა არაფორმალების ლიდერებთან დიალოგის დაწყების შესახებ წარმატებით ვერ დაგვირგვინდა. გამოცხადდა, რომ შექმნილია რესპუბლიკის მართვის დროებითი კომიტეტი, რომელმაც უარი თქვა საქ. სსრ არსებულ ხელმძღვანელობასთან კონტაქტის დამყარებაზე.

14 აპრილი მათ გამოაცხადეს კომუნისტებთან ანგარიშსწორების დღედ. დღევანდელმა პარტაქტივმა დაგვანახა, რომ კომუნისტების დიდი უმრავლესობა აუცილებლად მიიჩნევს გადამწყვეტი ღონისძიების განხორციელებას რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად. თუმცა, არიან ისეთებიც, ვინც მხარს უჭერს არაფორმალებს და დაინტერესებულია რესპუბლიკაში მდგომარეობის გამწვავებით. წესრიგის დასამყარებელი ღონისძიებების განხორციელებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ არც ერთ ადამიანს არ მივაყენოთ ფიზიკური ტკივილი.

ნ. ა. კოჩეტოვი — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა.

განაცხადა, რომ როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, ექსტრემისტული ელემენტებისა და თავაშვებული პიროვნებების მიერ პროვოცირებული ამგვარი არეულობების აღკვეთა ყოველთვის ვერ ხერხდება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით, რადგან რესპუბლიკის მილიციას ეშინია და ყოველთვის არ სურს, გაბედულად იმოქმედოს წესრიგის დასამყარებლად. იგი დაარწმუნეს, განაცხადა მან, რომ სსრკ შს სამინისტროს სპეცძალები, რომლებიც უკვე იმყოფებიან თბილისში, კარგად არიან მომზადებული და შეძლებენ წესრიგის დამყარებას მოქალაქეთა დალურჯების გარეშე. დაადასტურა, რომ ღამით მთავრობის სახლის წინ ცოტა დემონსტრანტი რჩება და სწორედ ღამით შეიძლება მთავრობის სახლისა და ტელერადიოს დებლოკირება. მიზანშეწონილად არ მიაჩნია, განუცხადონ მოსახლეობას რესპუბლიკაში რაღაც საგანგებო კომისიის შექმნის შესახებ, რაც პანიკას დასთესს მოსახლეობაში. გადაწყვეტილება უნდა მივიღოთ ადგილზე, რადგან მოსკოვიდან ყველაფერი არ ჩანს. თანახმაა, რომ მიღებული ღონისძიებების შესახებ უნდა მოხსენდეს მოსკოვს.

ბ. ვ. ნიკოლსკი — დაეთანხმა რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობის შეფასებას და დაუმატა, რომ მისაღებია სასწრაფო ღონისძიებები დემონსტრაციაზე ბავშვების, მოსწავლეების მისვლის აღსაკვეთად. დაუშვებლად მიაჩნია მოტყუებული მოსწავლეების დემონსტრაციაზე მისვლა ლოზუნგებით, რომლებიც ეროვნებათშორის მტრობას აღვივებს. შეიტანა წინადადება, რომ მთელი სიმკაცრით მოეკითხოს სკკპ წევრ მასწავლებლებს, პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობას იმის გამო, რომ ისინი არ განახორციელებენ ღონისძიებებს მოსწავლეთა დემონსტრაციაზე დაუშვებლობის მიზნით, იქ, სადაც ისმის ლოზუნგები კომუნისტებთან ანგარიშის გასწორების შესახებ. ხოლო სკკპ წევრებს, რომლებიც თვითონ მონაწილეობენ მიტინგებში და წინ მიუძღვებიან მთავრობის სახლისკენ მიმავალ ბავშვთა კოლონას, მოეკითხოს პარტიული პასუხისმგებლობის კუთხით.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. № 71

მარად მოუშუშებელი 9 აპრილი

დაეთანხმა რესპუბლიკის პარტაქტივის მოთხოვნას წესრიგის დამყარების შესახებ და მოიწონა წარდგენილი ღონისძიებანი. წინადადება შეაქვს, გაიწმინდოს მოედანი მთავრობის სახლის წინ, დებლოკირება მოხდეს ტელერადიოს სახლის, აღდგეს ყველა სახელმწიფო ორგანოს საქმიანობა, მოედნის გაწმენდის აქტი განხორციელდეს ღამით, არაფორმალების ლიდერები დააპატიმრონ 10-11 აპრილს და ხელი შეუშალონ მათ, რომ 14 აპრილს გაუსწორდნენ კომუნისტებს. ამ დროისათვის მიღებული იქნება კანონი და გამოაქვეყნებენ.

მოსკოვი გვირჩევს, ყველა გადაწყვეტილება შევუთანხმოთ ამხანაგებს (დასახელა სკკპ ცკ პასუხისმგებელი მუშაკების გვარები). წინადადება წამოაყენა, საქალაქო და რაიონული კომიტეტების კომუნისტებისგან შეიქმნა 10-15-კაციანი ჯგუფი სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში სამუშაოდ, რომლებიც არ დაუშვებენ მოსწავლეთა მონაწილეობას დემონსტრაციაში.

ო. ე. ჩერქეზია — მიაჩნია, რომ დემონსტრანტების ნაწილი ზღვარს გადავიდა და დაიწყო მოქმედება, რასაც უნდა ეწოდოს აშკარად ანტისახელმწიფოებრივი და ამიტომ, დაუშვებელი. არაფორმალების ლიდერები მოუწოდებენ, ფიზიკურად გაუსწროდნენ კომუნისტებს, მოითხოვენ სისხლის დაღვრას, რის გარეშეც, როგორც მათ მიაჩნიათ, მიზანს ვერ მიაღწევენ, აღვირახსნილი ლიდერები მოუწოდებენ დაუმორჩილებლობისკენ, საყოველთაო გაფიცვებისკენ და ა. შ.

იმუქრებიან, რომ 14 აპრილს კომუნისტებს მოუწყობენ „ბართლომეს ღამეს“.

წინადადება შემოაქვს, შემოღებულ იქნას საგანგებო მდგომარეობა, ღამის საათებში მოახდინონ მთავრობის სახლის და ტელერადიოს დებლოკირება. ლიდერები დააპატიმრონ.

ი. ნ. როდიონოვი — განაცხადა, რომ მას, როგორც ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალს დაევალა წესრიგის აღდგენა და დაცვა რესპუბლიკაში, მათ შორის, ქ. თბილისში. ამასთან დაკავშირებით, მის განკარგულებაში გადადის საქართველოს სსრ შს სამინისტროსა და ქვეყნის სხვა რეგიონებიდან ჩამოსული ძალები და საშუალებანი, რომლებიც ვალდებული არიან, შეასრულონ სარდლის გადაწყვეტილებანი.

დაეთანხმა, რომ ობიექტები, რომლებიც დაბლოკილი აქვთ დემონსტრანტებს, დებლოკირებული იქნეს ღამის საათებში. ამისთვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მიიჩნევს 3-დან 4 საათამდე პერიოდს, როცა დემონსტრანტები მცირე რაოდენობით არიან. დაჰპირდა, რომ მთავრობის სასახლის წინ მოედნის გაწმენდისა და ტელერადიოს დებლოკირების დაწყების ზუსტ დროს დამატებით აცნობებს. სინანული გამოთქვა, რომ უარი თქვეს კომენდანტის საათის დღესვე გამოცხადებაზე განაცხადა, რომ არმიის ძალები წესრიგის დასაცავად აქციის განხორციელებისთვის მომზადებული არ არიან, მაგრამ იმედი აქვს სსრკ და საქ. სსრ სამინისტროს შსს ძალებისა, რომლებიც მის განკარგულებაშია გადასული.

გ. გ. გუმბარიძე — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა. დაამატა, რომ ავრცელებენ ხმებს, თითქოს 14 აპრილს არაფორმალები აპირებენ, გაუსწორდნენ კომუნისტებს, 26 მაისს კი მოაწყონ გრანდიოზული დემონსტრაცია საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსადგენად. დაეთანხმა, რომ საჭიროა ღონისძიების განხორციელება წესრიგის აღსადგენად, სამხედრო კოლონის გავლამ ქალაქ თბილისში თავაშვებულ ელემენტებზე სათანადო გავლენა მოახდინა.

ზ. ა. ჩხეიძე — ვითარება შეაფასა როგორც კრიტიკული, განაცხადა, რომ თუ არ იქნება მიღებული ღონისძიებანი, უპასუხისმგებლოთა მოქმედებამ შეიძლება ტრაგედიამდე მიგვიყვანოს.

ჯ. ი. პატიაშვილს ურჩია, არ გამოვიდეს მომიტინგეთა წინაშე, ეს უშედეგო იქნება, მას არავინ მოუსმენს, ხოლო ამის შემდგომ მოედნის გასაწმენდად ძალის გამოყენება აღქმული იქნება, როგორც მთავრობისა და პირველი მდივნის მხრიდან შურისძიება.

დაეთანხმა, რომ არაფორმალთა ლიდერები, რომელთაც დაუშვეს უკანონობა და არ სურთ მთავრობასთან კონტაქტი, დააპატიმრონ. განაცხადა, რომ საქ. სსრ მინისტრთა საბჭო დღესვე მიიღებს დადგენილებას რესპუბლიკაში წესრიგის დამყარების ღონისძიებათა მხარდაჭერის შესახებ.

ა. ნ. ნოვიკოვი — მდგომარეობის შეფასებას დაეთანხმა და მხარი დაუჭირა წესრიგის დამყარების წინადადებებს. გამოთქვა მოსაზრება, რომ, თუ არ არის საკმარისი მასალა არაფორმალების ლიდერების დასაპატიმრებლად, მაშინ საჭიროა მათი 2-3 დღით დაკავება და ამით მომიტინგეებზე გავლენის მოხდენა.

შ. ვ. გორგოძე — ეთანხმება რესპუბლიკაში პოლიტიკური მდგომარეობის შეფასებას. განაცხადა, რომ თუ დაუყოვნებლივ არ იქნება მიღებული ღონისძიებები წესრიგის დასამყარებლად, შემდეგ დაგვიანდება და მომავალში რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ამ დაგვიანებას არ აპატიებენ. წამოაყენა წინადადება მომიტინგეთა ლიდერების დაუყოვნებლივ დაპატიმრების შესახებ. ყველასი თუ არა, მას სიაში 30 ასეთი ჰყავდა ჩაწერილი, თუნდაც, 9-10 ადამიანისა, ვისზეც შეგროვებულია სავსებით საკმარისი მასალები. თუ მომიტინგეებს უთავოდ არ დავტოვებთ, მაშინ ლიდერებს გადაწყვეტილი აქვთ, გამაგრდნენ ბარიკადებს მიღმა და განაგრძონ არეულობა.

ნ. ვ. შოშიაშვილი — განაცხადა, რომ ლიდერების დასაპატიმრებლად საკმარისი მასალაა შეგროვებული და გაკვირვება გამოთქვა მოსკოველი ხელმძღვანელი ამხანაგების მტკიცების გამო, თითქოს არაფორმალების დასაპატიმრებლად არ არსებობს საკმარისი მასალები.

ა. გ. კარანაძე — დაეთანხმა მდგომარეობის შეფასებას და მხარი დაუჭირა წინადადებებს, რომლებიც სხდომის მონაწილეებმა შეიტანეს.

ვ. ა. შარაშენიძე — (იგივე, რაც კარანაძე).

დაასკვნეს:

1. რესპუბლიკაში ჩამოყალიბდა უკიდურესად გამწვავებული პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც კატასტროფულის მიჯნაზეა. არაფორმალებმა და მათ თანამგრძნობთა ნაწილმა, თავიანთი ლიდერების ხელმძღვანელობით, სიცრუის, შანტაჟისა და დეზინფორმაციის გამოყენებით, შეცდომაში შეიყვანეს ახალგაზრდობის ნაწილი, აგრეთვე, უფროსი ასაკის მოსახლეობა და რამდენიმე დღე ზედიზედ განაგრძობენ მიტინგებს, დემონსტრაციებს, მსვლელობებს, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ლოზუნგებით აღვივებენ ნაციონალისტურ ფსიქოზს. დეზორგანიზებულია სწავლება, მუშაობა, სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, სახელმწიფო ორგანოებისა და დაწესებულებების, ტრანსპორტისა და ზოგიერთი საწარმოს ნორმალური ფუნქციონირება.

2. აუცილებელია სასწრაფო და გადამჭრელი ღონისძიებების განხორციელება კანონის ფარგლებში და საბჭოთა კანონიერების დაცვით რესპუბლიკის ნორმალური ცხოვრებისა და საქმიანობის აღსადგენად.

მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილება:

1. მხედველობაში იქნეს მიღებული, რომ ზემდგომი ინსტანციების გადაწყვეტილებით:

ა) რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენა და დაცვა დაკისრებული აქვს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასა და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდლობას;

ბ) სამხედრო ოლქის, სსრკ. საქ. სსრ შს სამინისტროებისა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების ჯარების ყველა ძალა და შესაძლებლობა, რომლებიც გამოყოფილია რესპუბლიკაში წესრიგის აღდგენისა და დაცვისთვის, დაექვემდებარა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალს და იგი მათ გამოიყენებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული თავისი გადაწყვეტილებით.

2. 8-9 აპრილის ღამეს ქ. თბილისსა და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში სსრკ და საქ. სსრ შს სამინისტროების, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის პარტიული და საბჭოთა აქტივის ძალებითა და საშუალებებით მიღებულ იქნეს ღონისძიებანი მიტინგების, დემონსტრაციების, მოხულიგნო და უპასუხისმგებლო ელემენტების თავაშვებულობის წინააღმდეგ.

3. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და საქ. სსრ შს სამინისტროს ძალებით უზრუნველყოფილ იქნეს ხელისუფლებისა და მართვის ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების, ფოსტის, ტელევიზიისა და რადიოს დაცვა.

4. მოეწყოს პატრულირება ქალაქებში და უზრუნველყოფილ იქნეს საქალაქო ტრანსპორტის ნორმალური ფუნქციონირება.

5. შეიქმნას 10-15-კაციანი ჯგუფები ქალაქკომების, რაიკომების კომუნისტების შემადგენლობით სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და დაწესებულებებში სამუშაოდ უწესრიგობისა და ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლების აღსაკვეთად.

6. მიზანშეწონილად ჩაითვალოს მომიტინგეთა წინაშე დღესვე ყველაზე უფრო ავტორიტეტულ პიროვნებათა გამოსვლები, შექმნილი ვითარების განმარტების მიზნით და გასაფრთხილებლად, თუ რა პასუხისმგებლობა დაეკისრებათ მათ კანონისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში.

7. დაწესდეს კონტროლი თბილისისა და სხვა ქალაქების შესასვლელებზე, არაფორმალების მოხულიგნო ჯგუფების გადაადგილების აღკვეთის მიზნით.

8. გაიწმინდოს მოედანი მთავრობის სახლის წინ და ამით აღდგეს რესპუბლიკის მთავრობის ნორმალური ფუნქციონირება. იმის გათვალისწინებით, რომ ღამის საათებში მთავრობის სახლის წინა მოედანზე მომიტინგეთა ყველაზე ნაკლები რაოდენობა იკრიბება, მოედნის გაწმენდა და მისი დაცვა განხორციელდეს 9-დან 10 აპრილამდე. ოპერაციის განხორციელების კონკრეტულ დროს ადგენს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი და ამის შესახებ აცნობებს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დღესვე მოამზადოს და გამოსცეს შესაბამისი დადგენილება, როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებისა და სხვა ძალების რესპუბლიკაში წესრიგის დასამყარებლად მოქმედების სამართლებრივი საფუძველი.

თავი მეჩვიდმეტე

უშიშროების სხდომაზე გადაწყდა, რომ მომიტინგეების დაშლისა და მათგან მოედნის გათავისუფლების ოპერაციას ამიერკავკასიის ჯარების სარდალი, გენერალი როდიონოვი უხელმძღვანელებდა, ხოლო მის მოადგილედ საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან დანიშნა შს მინისტრი შოთა გორგოძე.

ოპერაციის სქემაში ლაპარაკი არ ყოფილა არანაირ იარაღზე, მით უფრო — მის გამოყენებაზე.

უფრო მეტიც, სქემის მიხედვით, ჯარსა და მომიტინგეებს უშუალო შეხება არ უნდა ჰქონოდათ! მათ შორის უნდა ჩამდგარიყო ქართული მილიცია, რომელიც მომიტინგეებისგან მთავრობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას გაათავისუფლებდა. შემდეგ კი ამიერკავკასიის ჯარი აღნიშნულ ტერიტორიას დაიკავებდა.

უშიშროების სხდომის მსვლელობის დროს მაწვდიან ინფორმაციას, რომ არაფორმალების დავალებით ლენინის მოედანზე (დღევანდელი თავისუფლების მოედანი) სატვირთო მანქანებს რკინაბეტონის კონსტრუქციები შემოაქვთ, რითაც მომიტინგეები და მათი ლიდერები მიმდებარე ქუჩებსა და სავალ გზებს ხერგავენ.

გორგოძეს ვავალებ, გაარკვიოს სიტუაცია, რის შემდეგაც იგი უშიშროების სხდომას ტოვებს. გასვლის წინ მას კიდევ ერთხელ ვაფრთხილებ და კატეგორიულ დავალებას ვაძლევ:

— იმოქმედეთ ფრთხილად, იცოდეთ, რომ მომიტიეგეებსა და ჯარს შორის დაპირისპირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს!

მიუხედავად იმისა, რომ როდიონოვი მარწმუნებს, „ერთი სინიაკის გარეშე“ გავათავისუფლებთო მოედანს, ინტუიცია და შექმნილი ვითარება მაინც ავ წინათგრძნობას მიჩენს და ბოლომდე თავს ვიკავებ...

ამჯერად უკვე კოჩეტოვი, რომელიც ხვდება ჩემი ყოყმანის მიზეზს, მომიბრუნდა და მეუბნება:

— თუკი ჩვენ დღესვე არ გავათავისუფლებთ მოედანს მომიტინგეებისგან, ხვალ, შესაძლოა, საქართველოში სუმგაითი განმეორდეს!

ამით ყველაფერი იყო ნათქვამი... უშიშროების სხდომა გადაწყვეტილების მიღებით დასრულდა.

სხდომის დამთავრების შემდეგ კოჩეტოვი და როდიონოვი მიდიან. მე ჩემს კაბინეტში ვბრუნდები, სადაც არ წყდება ინტელიგენციისა და საზოგადო მოღვაწეების ვიზიტები.

ყველა შეშფოთებულია, ყველას რაღაც გაურკვევლის გაუცნობიერებელი შიში აქვს...

თბილისში სიტუაცია კიდევ უფრო იძაბება და უმართავი ხდება.

მაწვდიან ინფორმაციას, რომ მომიტინგეები არა მარტო დედაქალაქის, არამედ რუსთაველის დესტაბილიზაციასაც ახდენენ. ისინი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანში შეჭრას ცდილობენ. იყო სროლაც, რომლის დროსაც დაცვის ერთი თანამშრომელი დაიჭრა. პირადად მიკავშირდება ტელეფონით რუსთავის ქალაქკომის მდივანი და ძალოვანებით დახმარებას მთხოვს.

ერთადერთ იმედად არაფორმალების ლიდერებთან მოლაპარაკებაზე წასული რეზო ჩხეიძე რჩება...

ჩემს კაბინეტში არიან ირაკლი აბაშიძე და რეზო თაბუკაშვილი, რასაკვირველია, ისინიც შეშფოთებულები და მოლოდინის რეჟიმში მყოფნი. ყველანი ველოდებით რეზო ჩხეიძის პასუხს, რომელიც ბოლო შანსი იყო იმისა, რომ მომიტინგეები ყოველგვარი ოპერაციის გარეშე, მშვიდობიანად, საკუთარი ნებით დაშლილიყვნენ და ამით როგორც მათთვის, ასევე ქვეყნისთვის მოსალოდნელი საფრთხე თავიდან აეცილებინათ.

(დასასრული იძნება)

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

რას უპირებს რუსეთი უკრაინასა და საქართველოს?

მას შემდეგ, რაც უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილის რამდენიმე ოლქში რუსეთის მომხრეები გააქტიურდნენ, რუსეთის დროშები ააფრიალეს და დამოუკიდებლობაც კი გამოაცხადეს, გაძლიერდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ კრემლი შეჩერებას არ აპირებს და თანმიმდევრულად ახორციელებს იმპერიალისტურ გეგმებს. უკრაინის მაგალითის მიხედვით, მოსალოდნელ საფრთხეებზე ლაპარაკობენ საქართველოშიც, სადაც უსაფრთხოებისა და სტაბილურობის იმედებს კვლავაც მტკიცედ უკავშირებენ ევროკავშირსა და ნატოს.

უკრაინის დაქუცმაცების პროცესი გრძელდება. 7 აპრილს სახელდახელოდ შექმნილმა დონეცკის საოლქო სახალხო საბჭომ დონეცკის ოლქი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადა და გადაწყვიტა ასევე უახლოეს პერიოდში მოეწყოს რეფერენდუმი დონეცკის რუსეთთან მიერთების საკითხზე. დონეცკის ადმინისტრაციულ შენობასთან მიტინგი, რუსეთის ჰიმნის ფონზე, რუსეთის დროშების ფრიალით მიმდინარეობს. მომიტინგეები აცხადებენ, რომ კიევის მხრიდან წინააღმდეგობის შემთხვევაში ისინი იძულებული იქნებიან დახმარება სთხოვონ რუსეთს და თვითგამოცხადებულ „დონეცკის სახალხო რესპუბლიკაში“ რუსი მშვიდობისდამცველები დაპატიჟონ.

ბევრისთვის ცხადია, რომ რუსეთის გეგმაა უკრაინა ნაწილ-ნაწილ დაიქვემდებაროს. მაგალითად, ოპოზიციონერი ლიდერის იულია ტიმოშენკოს თქმით, რუსეთი ცდილობს „აღმოსავლეთი უკრაინის ანექსია მოახდინოს ყირიმის სცენარით“. აქვე გავიხსენოთ, რომ პრორუსულად განწყობილმა აქტივისტებმა ადმინისტრაციული შენობები დაიკავეს აღმოსავლეთ უკრაინის კიდევ ორ ქალაქში — ლუგანსკსა და ხარკოვში.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის **დავით ჯალაღანიას თქმით, ის, რაც ჩვენს მეგობარ და მეზობელ უკრაინაში ხდება, საქართველოს სერიოზულ შეშფოთებასა და პროტესტს იწვევს. იმის გათვალისწინებით, რომ უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარემ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ალექსანდრ ტურჩინოვმა გააუქმა ლიტვაში ვიზიტი,** დავით ჯალაღანია ვარაუდობს, რომ აღმოსავლეთ უკრაინაში განვითარებული მოვლენები სერიოზული ხასიათისაა და განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, თუმცა, მან გამოთქვა ასევე იმედი, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მეტი კონსოლიდირებით და კიევის „ძალზედ მოზომილი და პრაქტიკული, ძალზედ რაციონალური პოლიტიკით, მოხერხდება „კრიზისის გამწვავების თავიდან აცილება“ და „უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე სტაბილურობა და ერთიანობა შენარჩუნდება“.

რაც შეეხება საქართველოს, ინტერნეტში გავრცელდა გარკვეული ვარაუდები რუსეთის ფედერაციის ავი ზრახვების თაობაზე მის მიერ ოკუპირებულ ქვეყანასთან დაკავშირებით. საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის თქმით, მისთვის სიახლეს არ წარმოადგენს რუსეთის განზრახვა — დააქუცმაცოს საქართველო და ძირი გამოუთხაროს მის სახელმწიფოებრიობას, თუმცა, ამ ეტაპზე უცნობია კონკრეტული გეგმები: **„რა თანმიმდევრობით რომელ მიმართულებას აამოქმედებს აგრესორი, ეს ამ წუთში — ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის — ნამდვილად არ არის ცნობილი. თუმცა, ყველა ის შესაძლო საფრთხე, რისკი შესაბამისად არის გასაანალიზებელი და, რა თქმა უნდა, ადეკვატური მზადყოფნაა ქვეყნიდან საჭირო მათზე რეაგირებისათვის“.**

რუსეთისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე უფრო კონკრეტულად ლაპარაკობს საქართველოს გეოსტრატეგიული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი **ვახტანგ მაისაია.** როგორც ანალიტიკოსი ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, **მოსალოდნელია, რომ რუსეთმა რეფერენდუმი ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონშიც მოაწყოს: „სავარაუდოდ, მაის-ივნისში ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმი, ალბათ, რეფერენდუმის იდეას წამოაყენებს ისევ ჩრდილოეთ ოსეთთან შეერთებასთან დაკავშირებით. ადგილობრივმა მმართველმა ძალამ — „ედინსტვომ“ — ამ იდეის აგიტაცია დაიწყო უკვე თამამად. პლუს დაიწყო ჩრდილოეთი ოსეთიდან სამხრეთის მიმართულებით შეიარაღებული ძალების გადასროლა“.**

ყველასათვის გასაგებია, რომ რუსეთი ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ გაკეთებულ მტკიცე არჩევანს ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის სასარგებლოდ, მაგრამ რადგანაც პრობლემების ძირითადი გასაღები ისევ საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერაშია, რუსეთისგან მოსალოდნელი საფრთხის ფონზე, საქართველოში კიდევ უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქვეყნის სწრაფვას ევროკავშირისა და ნატოსკენ. ჩრდილოატლანტიკური ალიანსი ქვეყნის უსაფრთხოების უალტერნატივო გარანტიად განიხილება...

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

დედამიწის ზურგზე

ექსპერტებმა მოახდინეს „რუსეთის ფედერაციის უკრაინაში შეჭრის“ ოთხი სცენარის პროგნოზირება — ძალის დემონსტრაციიდან განხეთქილებამდე

სამეფო გაერთიანების თავდაცვის კვლევის ინსტიტუტის ბრიტანელი ექსპერტების აზრით, მოსკოვსა და კიევს შორის დაპირისპირება კრიტიკულ ზღვარს მაისში მიაღწევს, როდესაც რუსეთის ფედერაცია, რომელმაც მოახდინა ჯარების აქტიური კონცენტრაცია მეზობელი ქვეყნის საზღვართან, შეძლებს დაიწყოს შეჭრა უკრაინის ტერიტორიაზე.

* * *

აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს, რომ საპროტესტო აქციები უკრაინის აღმოსავლეთში მომზადებული და ანაზღაურებულია რუსეთის მიერ

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსამსახურის ხელმძღვანელის ჯენიფერ პსაკის სიტყვებით, შეერთებულ შტატებს აქვს სერიოზული დამოწმებანი იმისა, რომ პრორუსული აქციის მონაწილეთა ნაწილი უკრაინის აღმოსავლეთში არ არიან ადგილობრივი მცხოვრებლები და ფულს ღებულობდნენ საპროტესტო განწყობილების მხარდაჭერისთვის.

* * *

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო შეშფოთებულია ქვეყნის აღმოსავლეთში უკრაინის არმიის ძალების თავმოყრის, სამოქალაქო ომის საფრთხისა და აშშ-დან ოპერაციაში სპეციალისტების მონაწილეობის გამო

სერგეი ლავროვმა შეგვახსენა, რომ არავის გაუკეთებია უკრაინის დამოუკიდებლობისთვის იმდენი რამ, რაც რუსეთმა, და დაგმო დასავლეთი, რომ კისრულობს საბავშვო ბაღის აღმზრდელის როლს, მოუწოდა შეწყვიტონ ვითარების დაძაბვა და დაუბრუნდნენ სერიოზულ მუშაობას. უკრაინაში ამ დროს განიხილავენ აღმოსავლეთ ოლქებში საგანგებო მდგომარეობის შესაძლო შემოღების პლუსებსა და მინუსებს.

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2014 წლის 08 აპრილის №48 ბრძანების დანართი

ინფორმაცია

თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირობიანი აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს პირობიან აუქციონს თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შემდეგ ქონებაზე:

ლოტის N	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	მიწის ფართობი (კვ.მ.)	სააგენტოს კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთი (ლარი)
N1	ქ. თელავში, ჭავჭავაძის გამზირზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	76	53.20.37.337	11400	3420	1140	100

სააუქციონო პირობები:

ა) ობიექტი ექსპლუატაციაში შევიდეს საკუთრების მოწმობის გაცემიდან 2 წლის განმავლობაში;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, ან პირთა გაერთიანებებს, რომელთა ქონებაშიც საქართველოს სახელმწიფოს, ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მონაწილეობის წილი 25%-ზე ნაკლებია.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს აუქციონის ჩატარების მეორე დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადებების მიღება წარმოებს განცხადების გამოქვეყნების დღიდან 2014 წლის 15 აპრილამდე ყოველ სამუშაო დღეს 10⁰⁰-დან 17⁰⁰ სთ-მდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს, 10⁰⁰ საათიდან 12⁰⁰ საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2014 წლის 15 აპრილს 15⁰⁰ საათზე. (ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16).

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი;

ბ) „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე“-ს გადახდა უნდა მოხდეს თელავის მუნიციპალიტეტის სპეცანგარიშზე, მიმღების დასახელება: თელავის მუნიციპალიტეტი, ა/ა-GE85|T2900000000113303, მიმღები ბანკის დასახელება: ს.ს. „ვითიბი ბანკი“-ს თელავის ფილიალი, ბანკის კოდი UGEBGE22.

გ) მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშის ნომერზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ა/ა 200122900 ბ.კ. TRESGE22 სახაზინო კოდი 300513282.

დ) პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

ე) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი“-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16. II სართული, ტელ: 27-13-35.

საკრებულოს თავმჯდომარე
დიმიტრი ბოჭორიძე

◎ დისკუსია



„პანორამა-თბილისის“ ბედი გაურკვეველია

მილიონები გაქვთ და ამას რას აშენებთ?!

მერიის არქიტექტურის სამსახურის ისტორიას არ ახსოვს ოდესმე ფართო საზოგადოებასთან ერთად საჯაროდ განეხილა რომელიმე პროექტი, რაც კი ამ სამსახურის ნებართვით განხორციელებულა. მაგრამ რადგანაც პროექტ „პანორამა-თბილისის“ უკან ძალიან დიდი პოლიტიკური ძალა დგას, თბილისის მერიამ ეს შანსი ხელიდან არ გაუშვა და ბიძინა ივანიშვილის ოცნებისთვის ფრთების შეკვეცა გადაწყვიტა.

არქიტექტურის სამსახურმა სასტუმრო „ჰოლიდეი-ინში“ დაიბარა თანაინვესტორების ფონდის რამდენიმე თანამშრომელი და პროექტის საზოგადოებისთვის წარდგენა მოსთხოვა. შეხვედრაზე თავი მოიყარეს ხელისუფლების თითქმის ყველა შტოს წარმომადგენლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციებმა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, ჟურნალისტებმა, მშენებლებმა, არქიტექტორებმა...

მეგა-პროექტი საკმაოდ ამბიციურია. მან ოთხი უდიდესი კომპლექსი ერთმანეთს უნდა დააკავშიროს: თავისუფლების მოედანი, ერეკლე II-ს მოედანი, სოლოლაკის ბაღები და სოლოლაკის მაღლობი... ანუ ის ეხება თბილისის ყველაზე კრიტიკულ ზონას, ურბანული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან ნაწილს და მისთვის ყოველი ხელის შევლება, შესაძლოა, პრობლემური გახდეს. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ახალ საუკუნეში ძველი თბილისი ხელუხლებელი ვერ დარჩება, თანამედროვეობა ბუნებრივად მოითხოვს ცვლილებებს... პროექტის ფონდი ნახევარ მილიარდ ლარზე მეტია. შეხვედრაზე დაისვა არაერთი რიტორიკული კითხვა, მათ შორის ასეთიც: ვის სჭირდება მეგა-პროექტი, ნუთუ მხოლოდ ტურისტს, რომელმაც თურმე სახურავიდან სახურავზე უნდა იფრინოს? მას ის ვიწრო ძველებური ქუჩები ხიბლავს, ისტორიული ძეგლები, ჩაიხანები და ყავახანები, რომელიც ძველ თბილისს ახასიათებს...

თუმცა, თანაინვესტორების ფონდის წარმომადგენელი **ირაკლი აბესაძე** ირწმუნება, რომ „პანორამა-თბილისთან“ დაკავშირებით საზოგადოებას მცდარი შეხედულება აქვს. მშენებლობა უპირველესად ქალაქის განვითარებას წაადგება: მხოლოდ შენების პროცესი სამოთხ წელიწადს გასტანს, სადაც სულ მცირე 2 ათასი ადამიანი დასაქმდება, ხოლო კომპლექსის ამუშავების შემდეგ სტაბილური 1000 სამუშაო ადგილი შეიქმნება.

„ბრწყინვალე პანორამა, რელიეფი, ხედები იმის საშუალებას ქმნის, რომ ოთხი დამოუკიდებელი მრავალფუნქციური კომპლექსი ერთმანეთს დაუკავშირდეს, — ამბობს ირაკლი აბესაძე, **— თავისუფლების მოედანი, სადაც 25 ათას კვ.მ-ზე განთავსდება საქალაქო ინფრასტრუქტურა: სასტუმრო, დასასვენებელი და სარეკრეაციო ზონები, საკონფერენციო დარბაზები, სავაჭრო ფართები, მიწისქვეშა ავტოსადგომები, რა თქმა უნდა, აშენდება საბაგიროები და დახრილი ლიფტები, რაც უნიკალურს ხდის ამ პროექტს.**

რაც შეეხება ერეკლე II-ს მოედანს, ვინაიდან საქმე გვაქვს ისტორიულ ცენტრთან, ჩვენი მიზანია ის გავაკეთილშობილოთ. აღვუდგინოთ ძველ შენობებს ისეთივე ფასადი და დანიშნულება, რაც გასაბჭოებამდე ჰქონდათ. საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი, რა გზით წავალთ, მაგრამ აუცილებლად შევუნარჩუნებთ ისტორიულ სახეს. აქაც აშენდება საკონფერენციო დარბაზები, საოფისე ფართები, 500 ავტოსადგომი და სხვა.

სოლოლაკის ბაღების გაშენების იდეას თბილისის რელიეფი იძლევა. 25 ათას კვ.მ-ზე გაშენდება სასტუმროს ინფრასტრუქტურა, ტერასებზე დაირგვება 20 ათასი ხე 5 მ-მდე სიმაღლისა და აბსოლუტურად შეერწყმება და შეეხამება ლანდშაფტს. დახრილი ლიფტის საშუალებით დაუბრკოლებლად შეიძლება გადაადგილება ტერასიდან ტერასამდე. თანაც, მნიშვნელოვანია, რომ გადაადგილება ყოველგვარი გამონაბოლქვის გარეშე მოხდება.

სოლოლაკის ბაღიდან სოლოლაკის მაღლობზე დაკავშირება მოხდება საბაგიროთი. მძღოლები 60 ათას კვ. მ. გამწვანებულ ტერიტორიას მოიცავს. პროექტის ფარგლებში სულ 10 ჰექტარი ტერიტორია გამწვანდება. საბოლოოდ მივიღებთ გაჯანსაღებულ, მოწესრიგებულ, ეკოლოგიურად სუფთა თანამედროვე ინფრასტრუქტურას“.

მერიის არქიტექტურის თანამშრომლებმა იმთავითვე დაიწუნეს პროექტი იმ მოტივით, რომ დოკუმენტაცია არ იყო წესრიგში. **„ჯერ ერთი, არ შეიძლება საცხოვრებელ ადგილზე მრავალფუნქციური შენობის აშენება, კანონი ამის საშუალებას არ იძლევა. მეტი მასალა და კვლევა გვჭირდება იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ სად რა ტიპის შენობა განთავსდება. არც ის ვიცით, განტვირთავს თუ არა საბაგირო სატრანსპორტო მოძრაობას. შეიძლება არც არაფერი ხდება, ან პირიქით, იქნებ ზიანს ვაყენებთ ქალაქს?! ჩვენ არა გვაქვს მასალა, რაზეც უნდა დავეყრდნოთ, რომ მოგცეთ ნება“,** — განაცხადა მერიის არქიტექტურის სამსახურის ხელმძღვანელმა.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა ყურადღება გაამახვილეს იმ ფაქტზე, რომ პროექტი „პანორამა-თბილისი“ კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის რამდენიმე მუხლს არღვევს. მაგალითად, ისტორიულ ზონაში კატეგორიულად აკრძალულია თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის აშენება. მართალია, ასეთი დარღვევა უკვე გვაქვს რიყეზე, თუმცა, დარღვევას დარღვევა არ უნდა მივუმატოთ, — ამბობენ ოპონენტები.

საიას წარმომადგენელი კიდევ უფრო შორს წავიდა და თანაინვესტირების ფონდის თანამშრომლებს ჰკითხა: უარის შემთხვევაში განიხილავთ თუ არა მსგავსი პროექტის ქალაქის სხვა ნაწილში გაკეთებასო, რაზეც უპასუხეს: ქალაქგარეთ ასეთი პროექტის განხორციელებას აზრი არა აქვსო.

დაისვა რიტორიკული კითხვაც: **„სახლები ინგრევა სოლოლაკში, მთაწმინდაზე, განწირულია ქალაქის ბირთვი,** — აღნიშნა ურბანისტმა ზურაბ ბახტაძემ, **— მილიონები გაქვთ, ხალხო, და ამას რას აშენებთ, სოციალურ მიზნებზე არ გიფიქრიათ?!“**

ძველი ქალაქის აღდგენაზე სხვა ინვესტორები ზრუნავენ და ამის პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვერ ავიღებთო, — იყო პასუხი. **„უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისგან პროექტის კომერციული მხარე და სოციალური ინტერესები. თქვენ რაც ნახეთ, ეს არის არქიტექტურული პროექტი, რომლის იდეაც საზოგადოებას გავუზიარეთ. შემდგომ იქნება საუბარი კონცეფციაზე, კონკურსებისა თუ ტენდერების გზით შეირჩევიან სამშენებლო კომპანიები, მათ მიერ წარმოდგენილი პროექტები. ახლა ვსაუბრობთ იმაზე, რისი გაკეთება შეიძლება და როგორ შეიძლება დაინტერესდნენ ინვესტორები. ჩვენ ცუდები არა ვართ, ჩვენც ამ ქალაქის შვილები ვართ და მისთვის საუკეთესოს გაკეთება გვინდა. თუ უარს იტყვით, კი ბატონო, ამას სულ ერთი წუთი უნდა. აღარ გავაკეთებთ და მორჩა“,** — აღნიშნა ირაკლი აბესაძემ.

თუმცა, კატეგორიული უარი არ უთქვამს არქიტექტურის სამსახურს. სავარაუდოდ, დოკუმენტაციის მოგვარების შემდეგ ამ თემაზე დისკუსია კვლავ გაგრძელდება...

თეა მოსია

◎ ელამი თვალით

ოფთალმიჯი

დათასა და გიგას შუაგულ კახეთში ატმის ბაღები გვერდი-გვერდ აქვთ გაშენებული. ხეხილი ადრიან გაზაფხულზე ერთხელ უკვე შეწამლეს და ახლა მეორედ უშხაპუნებენ შხამქიმიკატებს.

— ღმერთმანი კაი აპარატი გამამადგა, კაი, — ულვაშები ულიმის გიგას.

— ეგ რომელი, შარშან მთავრობიდან რო გვაჩუქეს?

— ჰო ეგა, ნახე რა ჯიგრიანად აბუებს.

— ნახე კარგია, ვხედავ რო? — ბუზღუნებს დათა, — ალალბედზე ვასხამ ამ ოხერ წამალსა.

— ჰოდა შენთვინ აუშენებიათ გურჯაანში ი ოფთალმიჯის კლინიკა.

— რა ოფთალმიჯი, რი კლინიკა, კაცოო, გამაგებინე რას ამბობ, — იღრინება დათა.

— ეგრე ჰქვია, ძმაო და რა ვქნა, ხო ხედავ, ისეთი დრო მოვიდა, ქართველები სუ იჯიები და ჯიჯიები გავხდით.

— რატო მერე?

— ვეტრაან, ვერა ხვდები? ადრე რუსები რო გვასხდნენ თავზე, სუ იჩები ვიყავით, ახლა ამერიკელები დაგვასხდნენ და სუ იჯიები გავხდით.

— იი, მაგას აღარაფერი ეშველება, — ხელი ჩაიქნია დათამ, — შენ ეგ მითხარი, ი კლინიკა რო ახსენე, თვალისა ხო არ არი?

— მე კი არა, თავის დროზე სააკაშვილმა თქვა, ოფთალმიჯის ეგეთი ევროკლინიკა თვით ამერიკელებსაც არ დაესიზმრებათო.

— მიუქარია, მაგისთანა უცუნა თუ არი, რატო თავად არ იმკურნალა?

— გაგიუდი, ჯო, თვალებზე როგორ იმკურნალებდა, როცა ყველამ ვიცოდით, რო ჭკუა სტკიოდა? სააკაშვილი არა, მაგრამ მაგ კლინიკის ამბავი რო გავიგე, იმ წუთში შენ და ბანჯო გამახსენდით.

— ბანჯო რა შუაშია? — აიმრიზა თანამოსაუბრე.

— ეგეც ხო ვეღარა ხედამს, რახან ვირია რა, მკურნალობა არა სჭირდება?

— ეჰ, ბანჯო ვიღას ახსოვს, ძმაო, — ამოიოხრა დათამ, — დაბერდა, თავის ყროყინის ხმაც აღარ ესმის.

— რაზე ატყობ?

— რა შეტყობა უნდა, რო ყროყინებს, პალოს აღარა გლეჯამს.

— ჰოდა, სმენა რო მოუვა, ისევ მოღონიერდება და შეიძლება თავის საყვარელ პოლიტიკასაც დაუბრუნდეს.

— არა მგონია, — თავი გააქნია დათამ, — ბანჯო ყოველთვის ოპოზიციაში ედგა მთავრობას, ახლა მასეთების დრო წავიდა.

— პირიქით, ჩემი ყურით მოვისმინე, ღარიბაშვილმა ოფთალმიჯის გამგეს რო დაავალა, — პირველ რიგში თვალები ოპოზიციონერებს აუხილეთო.

— დავიჯერო? — შეეჭვდა მეზობელი.

— მა რაა, ქვეყანაში ამდენი კარგი საქმე კეთდება, ეგ ბრუციანი ნაცები კი მაინც ვერაფერს ხედავენ. მაგათმა სიავკაცემ და სიბრმავემ მთელ მსოფლიოში მოგვჭრა თავი.

— მაგრამ ოპოზიციაში ნაცების გარდა კიდევ მთელი ჯოგნი არიან, ნეტა პრემიერმა იმ ჯოგიდან კიდევ ვინ იგულისხმა? — დაინტერესდა დათა.

— აბა რა გითხრა, — მხრები აიჩეჩა გიგამ, — ყველა ეგენი გაჭრილი ვაშლივითა ჰგვანან ერთმანეთს. შეიძლება სულაც ნათელაშვილი ჰყავდა გუმანში.

— არა მგონია, — თავი კიდევ ერთხელ გააქნია დათამ, — ვერა ხედავ, შალიკო საცრისოდენა თვალებს აბრიალებს.

— რა მიამიტი ვინმე ხარ, ჯო, — გაწყრა გიგა, — ამ შემთხვევაში საქმე თვალებს კი არა, უფრო ენას ეხება. არ გახსოვს, შალიკომ ადრე მიშას რა მწარედ უკბინა: ორი თვითმფრინავი ერთმანეთს რომ დაეჯახოს, ორივეში მიშა იჯდებაო(!).

— ეგ არ უთქვია ცუდად, რას ერჩი, იმ ორიდან ერთში ხო მაინც გადარჩებოდა ხალხის სათაყვანებელი პრეზიდენტი?..

— დანამდვილებით ვერ გეტყვი, — თავი დაიზღვია გიგამ, — პრემიერი შეიძლება სულაც მემარჯვენე ფიქრია ჩიხრაძეს ან რესპუბლიკელ ლევან ბერძენიშვილს გულისხმობდა.

— ფიქრია კიდევ ჰო, თვალებზე შჩოლკა ეფარება და შეიძლება მთავრობის ნაკეთებ საქმეებს ვერ ხედავდეს, მაგრამ თანაკოალიციელ ბერძენიშვილს რას ემართლებიან?

— არც მაგას უნდა ჰქონდეს საქმე მთლად კარგად, თავის დროზე ციხეში და საჯარო ბიბლიოთეკაში იმდენი წიგნები აქ ნაკითხი, თვალები ნაღდად დაძაბული ექნება.

— შენ იგრე ლაპარაკობ, რო ეგ ოფთალმიჯია თუ რაღაც ამერიკული კლინიკა, მარტოკა ჩვენ, მე და ბანჯოს დაგვრჩება.

— რატო მარტო თქვენ, საპარლამენტო უმრავლესობა?!

— როგორ კაცო, — განცვიფრდა გიგა, — მაგათაც სჭირდებათ თვალის ახელა?

— აი მაგათ სჭირდებათ თუ სჭირდებათ. მაგათ რო დროულად აეხილათ თვალი და ძაღლიშაქნილ ნაცებთან არ ეჩარბუზანავათ, არც თავად იქნებოდნენ სამკურნალო და არც ჩვენა.

გიგას აღარაფერი უთქვამს, ზურგზე აპარატი შეისწორა და ახლად დაყვავილებული ატმების მორიგ პარტიას შეუბერა.

ოტია ჩართოლანი

◎ რაგბი

ორიენტირი – მსოფლიო თასი

საქართველოს 20 წლამდე მორაგბეთა ნაკრებმა ჰონგ-კონგში მიმდინარე ასაკობრივი მსოფლიო თასის „ალაფის“ პირველ მატჩში ტონგა 34:10 (21:0) დაამარცხა.

ახალგაზრდა „ბორჯღალოსნებმა“ ტონგელებს 3 ლელო, 2 გარდასახვა და 5 საჯარიმო გაუტანეს. ლელოები საბა შუბითიძემ და ვახტანგ ამირანაშვილმა (2) დადეს, გარდასახვა-საჯარიმოები კი ზუსტად რეზი ჯინჭველაშვილმა შეასრულა.

„ალაფის“ A ჯგუფში საქართველოს ნაკრები მომდევნო მატჩს აშშ-ს წინააღმდეგ ზეგ გამართავს,15 აპრილს კი ჰონგ კონგს შეხვდება. „ალაფიდან“ მსოფლიო თასის საგზურს მხოლოდ ჩემპიონი გუნდი მოიპოვებს, გამარჯვებულის ვინაობას კი A და B ჯგუფების საუკეთესო ნაკრებები ფინალურ შეხვედრაში გაარკვევენ. B ჯგუფში პირველობისთვის ნამიბია, ურუგვაი, იაპონია და კანადა იბრძვიან.

საქართველოს ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა:

შერკინება: 1. ზაურ ხარებავა, 2. ბადრი ალხაზაშვილი, 3. გიორგი მარგველიანი, 4. ფარნავაზ გასვიანი, 5. ბესიკ ბარბაქაძე, 6. საბა შუბითიძე (კაპ), 7. ბადრი დანგაძე, 8. ვახტანგ ამირანაშვილი;

ღერძი: 9. რევაზ ბროძელი, 10. რევაზ ჯინჭველაშვილი;

ხაზი: 11. შალვა შაშიაშვილი, 12. გიორგი ტალახაძე, 13. გიორგი ფრუიძე, 14. მურაზ გიორგაძე, 15. დავით გულიტაშვილი.

მარქაფა: 16. გიორგი თორაძე, 17. ბექა კაკაბაძე, 18. დავით პაპავაძე, 19. ჟორა მღებრიშვილი, 20. თემურ თუთბერიძე, 21. გიორგი ბაბუნაშვილი, 22. დევი დევსურაშვილი.

ბეჟან დოლიძე

◎ ფეხბურთი

ჟორდანიამ „ვიტესის“ გენდირექტორს მოუბოდიშა

მერაბ ჟორდანიამ ჰოლანდიური საფეხბურთო კლუბის არნემის „ვიტესის“ გენერალურ დირექტორს იოსტ დე ვიტს მოუბოდიშა. ამის შესახებ ჰოლანდიური პრესა იუწყება. რამდენიმე დღის წინათ დე ვიტმა განაცხადა, რომ „ვიტესის“ ყოფილი მფლობელი მას თითების დაჭრით ემუქრებოდა, რის გამოც ჟორდანიას არნემელთა სტადიონზე და საწვრთნელ ბაზაზე მისვლა სამი წლით აუკრძალეს.

„ნება მომეცით გითხრათ, რომ თუ მას მართლა შეეშინდა, სერიოზულად გული მწყდება და მომხდარით არ ვამაყობ“ – ციტირებს ჰოლანდიური მედია ქართველს.

ჟორდანია განსაკუთრებით იმითაა იმედგაცრუებული, რომ გუნდს ჩემპიონობაზე უარის თქმა „ჩელსის“ ფაქტორის გამო მოუწია:

„ბევრი რამ ისე არ ხდებოდა და გუნდის წინააღმდეგ იყო მიმართული. შემდეგ ჩემში რაღაც ჩაწყდა. ნაწყენი არ ვარ, უფრო იმედგაცრუებული ვარ“.

ჰოლანდიის პოლიციამ ჟორდანია დაკითხა, რის შემდეგაც მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პოლიციაში ფინჯანი ყავა გემრიელად მიირთვა.

ასევე ჟორდანია „ვიტესის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარით ბერტ როეტერტითაა იმედგაცრუებული, რომელსაც მეგობრად მიიჩნევდა. მისი განცხადებით, როეტერტმა მხარი არ დაუჭირა.

გიორგი შოთაძე

◎ ვითარება

შუმახერი კონტაქტზე გამოდის და ხმაზეც რეაგირებს

ახლახან მიხაელ შუმახერის მენეჯერმა საბინე კემმა განაცხადა, რომ მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონს იმედისმომცემი ნიშნები აქვს, ოღონდ მას არ დაუზუსტებია, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს. სამაგიეროდ, ბაჰრეინის რბოლის დღეებში უფრო დაწვრილებით ამაზე ჟან ალეზიმ ისაუბრა, რომელიც სპარსეთის ყურის ამ ქვეყანაში რბოლაზე დასასწრებად ჩავიდა.

ალეზის „შუმი“ რამდენჯერმე მოუნახულებია და ბოლო ვიზიტის შემდეგ ოპტიმისტურ განწყობაზე დაბრუნდა. ის ამბობს, რომ მიხაელის მდგომარეობა ადრინდელთან შედარებით გაცილებით გაუმჯობესებულია. გარეგან ზემოქმედებაზე მისი რეაქციებიც გაცილებით ხშირი და მნიშვნელოვანია.

„თავიდან მიხაელი მხოლოდ ტკივილზე რეაგირებდა, როცა, მაგალითად, ჩხვლეტდნენ, მაგრამ ეს უფრო რეფლექსური, გაუაზრებელი რეაქცია იყო. ჩემი ბოლო ვიზიტისას გავაცნობიერე, რომ რაღაც უკეთესობისკენ იცვლება. ოჯახის განწყობაც სულ სხვაა, ოპტიმისტური. ვიცით, რომ პროცესი ხანგრძლივი იქნება, მაგრამ გაუმჯობესება აშკარაა“, – გამოცემა „სპიდ უიკთან“ საუბრისას განაცხადა ალეზიმ.

ფრანგის მოსაზრებას იზიარებს შუმახერის კიდევ ერთი მეგობარი და მისი დიდი ხნის თანაგუნდელი ფელიპე მასაც: „თუ რამდენად კარგი განწყობით დავბრუნდი მიხაელის ბოლო მონახულების შემდეგ, სიტყვებით ამის გამოხატვა შეუძლებელია. მისთვის ყოველდღიურად ვლოცულობ და როგორც ჩანს, ამაზე პასუხიც მოდის. ახლა იმის იმედი მაქვს, რომ გრენობლიდან სულ უფრო უკეთეს ამბებს გავიგებთ ხოლმე“, – ამბობს მასა.

იტალიური სპორტული გამოცემა „გაძეტა დელო სპორტი“ ირწმუნება, რომ შუმახერმა თვალების მოძრაობა დაიწყო, გერმანული „ბილდ ამ ზონტაგის“ ინფორმაციით კი Ф1-ის ყველაზე ტიტულოვან მრბოლს უკვე ხმებზე რეაგირებაც შეუძლია!

კობა კობახიძე

◎ ტრიუმფი

ახალგაზრდა ძიუდოისტთა წარმატება ევროპის თასზე

საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა ჩინებულად იასპარეზა საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გამართულ ევროპის თასზე. ქართველმა ძიუდოისტებმა ჯამში 5 ოქროს, 2 ვერცხლის და 5 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, რითაც გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა და გოგონათა შორის პირველი ადგილი დაიკავეს.

ევროპის თასის გამარჯვებულები გახდნენ: თორნიკე ნაგლიაშვილი (55 კგ.), ივანე ჯავახიშვილი (60 კგ.), გიორგი გუგულაშვილი (66 კგ.), უშანგი მარგიანი (81 კგ.), გუგა კიბორძალიძე (+100 კგ.).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს ხატია ჯანაშვილმა (63 კგ.) და ომარ ნიაზაშვილმა (73 კგ.), ბრინჯაოს მედლების მფლობელები კი გახდნენ: ბექა ვიბლიანი (66 კგ.), ილია მალვენიშვილი (90 კგ.), ზაურ მამარდაშვილი (90 კგ.), გიორგი თაყაძე (100 კგ.) და გიგა გელაშვილი (+100 კგ.).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჰოკეი

მეორე მარცხი ლუქსემბურგში

ლუქსემბურგში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატის III დივიზიონში საქართველოს ჰოკეისტთა ნაკრებმა მე-2 მძიმე მარცხი განიცადა.

შეგახსენებთ, რომ პირველ ტურში ქართველებმა ჩრდილოეთ კორეასთან 1:22 წააგეს, გუშინ კი ჰონგ კონგთანაც ვერაფერი გააწყვეს – 0:12.

დღეს საქართველოს ნაკრები ბულგარეთს ეთამაშება, 11-ში – ლუქსემბურგს, ხოლო 12-ში – არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

კამილა და მარიანა – კოლუმბიის სამსახურში

ეს ამბავი თითქოს ზღაპარივითაა... კოლუმბიაში ცხოვრობენ და თავიანთი არსებობით ყველას ატკბობენ მოდელი ტყუპი დები კამილა და მარიანა დავალოსები. ამ გოგონათა ცქერა მართლაც რომ ერთ რამედ ღირს და რაგინდარა გულქვა კაცსაც კი ვნების ცეცხლს შეუნთებენ გულში.

ჰოდა ეს ჩვენი მოდელი ტყუპი დები თურმე ფეხბურთის დიდი ქომაგებიც ყოფილან და უკვე აქედანვე იქადნებიან, ბრაზილიაში ჩვენი მშობლიური ქვეყნის ნაკრებს ისე ვუგულშემატკივრებთ, აქამდე ჯერ რომ არავის გინახავთ და ჯერ რომ არავის გაგიგონიათო.

მარიანა და კამილა სულ ერთად არიან ცხოვრებაშიც და პოდიუმზეც და ისინი ბრაზილიის საფეხბურთო სტადიონებზეც, რა თქმა უნდა, ერთად უგულშემატკივრებენ ხუან კუადრადოს, რადამელ ფალკაოს და კომპანიას. შემოიფარგლებიან თუ არა მხოლოდ გულშემატკივრობით – ამას მომავალი გვიჩვენებს...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მკითხველის აღტაცება

„ნიჭი ძამიკო, ნიჭი“

„რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს და ლექსიც თვითონ ტკივილი არის“

დიდი გალაკტიონის ეს გენიალური გამონათქვამი ზუსტად ესადაგება ცნობილი პოეტის შოთა ხოდაშნელისა და მისივე უერთგულესი მეგობრის პოეტ ოთარ ზარდალიშვილის სამშობლოს წინაშე გაწეულ ღვაწლს.

გარბენილი ათეული წლების შემდეგაც ძმაკაცები დღესაც ახალგაზრდული ენერგიით (გვჯერა, მომავალ წლებშიც ასე იქნება) გაახარებენ პოეზიის თაყვანისმცემლებს, ამის უტყუარ იმედს ეფუძნება ღრმა სიბერეში ფეხშედგმული ორი მეგობრისთვის განგების მიერ ნაბოძები უნიკალური მეხსიერება.

ხშირად ძმაკაცები მაღალ მხატვრულ დონეზე მკითხველებს ზეპირსიტყვაობით უმასპინძლდებიან: შოთა რუსთაველის, დავით გურამიშვილის, ბესიკის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, ანა კალანდაძის, ლადო ასათიანის და სხვა ავტორთა ლექსებითა და პოემებით.

გვჯერა, შოთა და ოთარი კიდევ დიდხანს, მრავალჯერ გაახარებენ ურიცხვ საზოგადოებას ლექსთა შეჯიბრებებზე გამოსვლებით.

87 წლის ბიძინა გეგეშიძე

◎ ალიან-ჩალიანი

ყაზახები ლიკანში ხუთვარსკვლავიან სასტუმროს აშენებენ

საპარტნიორო ფონდმა და ყაზახურმა კომპანია „ყაზმუნაიგაზ-სერვისმა“ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას — ლიკანში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მშენებლობის დასრულებისთვის დაფინანსების გამოყოფის შესახებ.

— სასტუმრო კომპლექსი წლის ბოლოს გაიხსნება და ტურისტებს შესთავაზებს დასვენებისთვის აუცილებელ ყველა პირობას და დამატებით შარმს შესძენს ბორჯომის რეგიონს, — აღნიშნა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა ირაკლი კოვზანაძემ.

საპატრნიორო ფონდის ცნობით, 152-ნომრიანი RIXOS-ის სასტუმრო კომპლექსი ლიკანში (ბორჯომი) ყოფილი IV სამმართველოს ტერიტორიაზე განთავსდება და აღჭურვილი იქნება დასვენებისთვის აუცილებელი თანამედროვე ინფრასტრუქტურით. კომპლექსში ასევე შესაძლებელი იქნება სამკურნალო-გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება. კომპლექსის მთლიანი საინვესტიციო მოცულობა 38,5 მლნ. აშშ დოლარია. ფონდის თანამონაწილეობა პროექტში კაპიტალის 50%-ია. სასტუმროს ოპერირებას მსოფლიოში ცნობილი ოპერატორი RIXOS განახორციელებს.

თბილისის ირგვლივ ტყეები ავიაციის გამოყენებით შეიწამლება

ამის შესახებ საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრმა ხათუნა გოგალაძემ განაცხადა.

მისივე თქმით, ტყის მოვლის ღონისძიებები საქართველოში ათეულობით წლების განმავლობაში არ ჩატარებულა.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, ჯერ კიდევ შარშან, უწყებამ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ტყის მოვლის ღონისძიებების გატარება დაიწყო. რაც შეეხება თბილისის შემოგარენს, წელს მაისის თვეში იგეგმება შეწამვლა, რადგან, მინისტრის თქმით, დაავადება „მზომელა“ საკმაოდ დიდ რისკს უქმნის თბილისის გარშემო არსებულ ტყეებს.

ხათუნა გოგალაძის თქმით, მაისში ავიაციის საშუალებით ბიოლოგიური პრეპარატებით შესაწამლი ღონისძიებების გატარება მოხდება, რის შესახებაც მოსახლეობა გაფრთხილდება და წინასწარ ინფორმირებული იქნება.

ინტერპრესი

გამოსათხოვარი

მედეა აბაშიძე

გარდაიცვალა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ღვაწლმოსილი მუშაკი, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის სწავლული მდივანი, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი **მედეა აბაშიძე**.

მედეა აბაშიძე დაიბადა თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. თბილისის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ ჯერ მხარეთმცოდნეობისა და სპორტული რედაქციის უმცროს რედაქტორად, შემდეგ — მთავარი რედაქციის რედაქტორად. 1975 წლიდან დღემდე მოღვაწეობდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიაში.

ქალბატონმა მედეა აბაშიძემ 1990 წელს წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად.

მას გამოქვეყნებული ჰქონდა 20-ზე მეტი შრომა. 1992 წელს გამოსცა მონოგრაფია „ქართული წერილობითი ისტორიული წყაროების რუსულად თარგმნის წყაროთმცოდნეობითი პრობლემები“; ინგლისურად თარგმნა მე-9 საუკუნის მნიშვნელოვანი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლი „კონსტანტი კახის მარტვილობა“; შეადგინა და გამოაქვეყნა „საქართველოს წმინდა ადგილების“ რუკა; დააარსა სერია „ქართული ისტორიული წყაროების ინგლისური თარგმანები“; მისი რედაქტორობით გამოიცა „მატიანე ქართლისაი“; დიდი წვლილი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემაში.

2003 წელს მედეა აბაშიძემ მიიღო ბრიტანეთის აკადემიის გრანტი ნაშრომისათვის „საქართველოს წმინდა ადგილები“.

იგი აქტიურად მონაწილეობდა საერთაშორისო კონფერენციებში, სიმპოზიუმებსა და კონგრესებში. საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებს გარდა, ლექციებს კითხულობდა ბერკლის უნივერსიტეტში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია დიდი მწუხარებითა და სინანულით ემშვიდობება ქალბატონ მედეა აბაშიძეს, ღირსეულ და მისაბაძ ადამიანს, არაჩვეულებრივ პიროვნებას, ინტელიგენტსა და მამულიშვილს, რომლის ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება იმ ადამიანთა მეხსიერებაში, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,
საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

თავდასხმა „საქართველოს ბანკზე“

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე მდებარე „საქართველოს ბანკის“ ექსპრეს ფილიალზე თავდასხმა მოხდა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, სისხლის სამართლის საქმე 179-ე მუხლით არის აღძრული, რაც ყაჩაღობას გულისხმობს.

„საქართველოს ბანკის“ პრესსამსახურის ინფორმაციით კი, ამ ეტაპზე მათთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ თავდამსხმელი ერთი იყო. „საბედნიეროდ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა“, — აღნიშნეს ბანკის პრესსამსახურში.

უცნობია, თუ რა რაოდენობის თანხის გატანა შეძლო თავდამსხმელმა.

◎ ჩვენი კარაბადინი

როგორ ვაკონტროლოთ დაავადება

დიაბეტური ციფრები

შაქრის დიაბეტი სერიოზული დაავადებაა, რომელსაც ბევრი გართულება ახლავს თან. როგორ შევამციროთ მათი რისკი? საკმარისია, დავიმახსოვროთ რამდენიმე მარტივი ციფრი.

40 წელი — გულის რისკის ასაკი

დიაბეტის დროს ხდება ორგანიზმის უფრო სწრაფი დაბერება, ვინაიდან ცვლის პროდუქტები გროვდება უჯრედებსა და ქსოვილებში უფრო დიდი ოდენობით, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანებში.

შემთხვევების უმრავლესობაში ათეროსკლეროზი ვითარდება 50-60 წლებისთვის, დიაბეტიკებს კი უჩნდებათ უკვე 40 წლისთვის. ბუნებრივია, იგივე შეეხება ათეროსკლეროზის შედეგს — გულის იშემიურ დაავადებას. თანაც პაციენტები შეიძლება ვერც გრძნობდნენ ტკივილებს, და სტენოკარდიის შეტევები ხშირად მიმდინარეობს შეუმჩნევლად. „დიაბეტიკური“ ინფარქტიც ასევე შეიძლება დაიწყოს გულში ტკივილების გარეშე.

როგორ მოვიქცეთ? დროულად რომ გამოვავლინოთ ათეროსკლეროზი და შევამციროთ რისკი ორგანიზმისთვის, რეგულარულად უნდა გავიკეთოთ ელექტროკარდიოგრამა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ორმოცი წელი შეგვისრულდება, ხოლო, თუ არის ამის აუცილებლობა, მუდმივად და არა შემთხვევიდან შემთხვევამდე, უნდა ვღებულობდეთ გულის პრეპარატებს.

დღეში ორჯერ წნევა უნდა გავიზომოთ

ყველა დიაბეტიკს ასაკთან ერთად ეზრდება არტერიული წნევა, მაგრამ ავადმყოფებმა ეს შეიძლება ვერც იგრძნონ. ამ დროს მაღალი წნევისგან ზიანდება თირკმლები, ირღვევა მხედველობა, იზრდება იმის რისკი, რომ მივიღოთ ინფარქტი ან ინსულტი. ამასთან დიაბეტიკებისთვის საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია პრეპარატების უმრავლესობა, რომლებიც ეფექტიანად სწევენ დაბლა წნევას და ერთდროულად თავიდან გვაცილებენ სტენოკარდიის შეტევებს, ვინაიდან ზოგიერთი მათგანი იწვევს სისხლში შაქრის აწევას ან მის მკვეთრ დაქვეითებას. ძნელია წნევის დაწევა შარდმდენი საშუალებების გარეშე, თუმცა, დიაბეტის დროს ისინიც საწინააღმდეგოდ მაჩვენებელია. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მკურნალობა არაფრით შეიძლება. არის პრეპარატების მთელი ჯგუფი, რომლებიც არა მხოლოდ დაბლა სწევენ წნევას და აუმჯობესებენ გულის მუშაობას, არამედ დადებით გავლენასაც ახდენენ თირკმლებისა და სისხლძარღვთა მუშაობაზეც. ისინი უნდა გამოწეროს ექიმმა, რომელიც რეგულარულად გადევნებთ თვალყურს.

როგორ მოვიქცეთ? უნდა ვაკონტროლოთ წნევა, გავიზომოთ იგი დღეში სულ ცოტა ორჯერ და , რა თქმა უნდა, აუცილებლობის შემთხვევაში, რეგულარულად მივიღოთ მისი დამწევი საშუალებები.

კვირაში ერთხელ აუცილებლად შევიმოწმოთ ფეხები

დიაბეტი და ათეროსკლეროზი აზიანებენ სისხლძარღვებს, რის შედეგადაც ირღვევა ქსოვილების კვება. ამას ხშირად ფეხებზე ტროფიკულ წყლულამდე მივყავართ და, **რაც კიდევ უარესია, განგრენასთან.** სისხლის მიმოქცევის დარღვევის პირველი ნიშნებია — ფეხების მცივანობა, დაბუჟება, ჟრუანტელი და ტკივილი სიარულის დროს. დიაბეტის დროს ქვეითდება მგრძნობელობა, და ავადმყოფები ვერ გრძნობენ, რომ გადაიყვლიფეს ან გაიჭრეს ფეხი. დიაბეტიკების ნებისმიერი, თუნდაც მცირე ჭრილობის დროს, ინფიცირება ხდება სწრაფად.

როგორ მოვიქცეთ? ექიმები გვირჩევენ, შევიმოწმოთ ფეხები თუნდაც ერთხელ კვირაში, გვქონდეს ისინი აბსოლუტურად სუფთა, აკურატულად დავიჭრათ ფრჩხილები, თვალყური ვადევნოთ, ხომ არ არის სისხლის მიმოქცევის დარღვევის ნიშნები.

წელიწადში სამჯერ უნდა მივიდეთ ოფთალმოლოგთან

დიაბეტი განსაკუთრებით დამანგრევლად აისახება ყველაზე მგრძნობიარე, ნაზ ქსოვილებზე, რომლებსაც თვალის ბადურა განეკუთვნება. მასში ხდება ნივთიერებათა ცვლის პროდუქტების ზედმეტი დაგროვება მიკროსკოპული კრისტალების — დრუზების სახით. ასეთივე პროცესი ეზრდებათ ასაკთან ერთად ჯანმრთელ ადამიანებსაც, მაგრამ დიაბეტიკებში პროგრესირდება უფრო სწრაფად. დრუზები ერწყმიან ერთმანეთს და ანგრევენ უჯრედებს. ასე ვითარდება ბადურის დისტროფია. ამიტომ იმ ადამიანებს, ვისაც შაქრის დიაბეტი აწუხებს, შესამჩნევად უუარესდებათ მხედველობა.

როგორ მოვიქცეთ? დრუზების წარმოქმნა შეიძლება შევაჩეროთ თუთიისა და სელენის შემცველი პრეპარატების დახმარებით. ისინი უნდა მივიღოთ კურსებად გაზაფხულზე, შემოდგომით და ზამთარში. ეს მიკროელემენტები არის პროდუქტებშიც: ღვიძლში, ფსტაში (ფისტაშკები), ბროკოლში, პარკოსნებში, მწვანე ხახვში.

ХРОНИКА

◎ ტესტი

ყველა ადამიანი ცოტა ფრინველია...

უპასუხეთ ტესტის შეკითხვებს და ეს დაგეხმარებათ განსაზღვროთ, თუ რომელი ფრინველი ხართ.

1. საუზმეზე გირჩევნიათ:
ა) ჭიქა ყავა, ჩაი ან წვენი.
ბ)ბუტერბროდი ან მოხარშული კვერცხი.
გ) რაიმე არსებითი.

2. შვებულების დროს ან უქმე დღეებში იღვიძებთ დაახლოებით იმ დროს, როგორც სამუშაო დღეებში?
ა) დიახ, ამას აკეთებთ ჩვეულების მიხედვით.
ბ) არა.
გ) გააჩნია, როდის როგორ.

3. რამდენად ზუსტად შეგიძლიათ განსაზღვროთ დროის შუალედი, წუთს რომ უდრიდეს, საათის გარეშე? სთხოვეთ ახლობლებს დაგეხმარონ ამ ამოცანის შესრულებაში. მიღებული შედეგი:
ა) ერთ წუთზე მეტი.
ბ) წუთზე ნაკლები.
გ) პრაქტიკულად გამოიცანით.

4. გაიხსენეთ, დღე და ღამის რომელ დროს ჩვეულებრივზე უფრო ხშირად ეჩხუბებით ვინმეს:
ა) საღამოობით, როდესაც დაღლილობა იჩენს თავს.
ბ)დილით, როდესაც ცუდ ხასიათზე ხართ.
გ) არ შეგიძლიათ ზუსტად თქვათ.

5. ივარაუდეთ, თუ დასვენების დრო დაკავშირებული იქნებოდა თქვენს სამუშაოსთან, რომელ საათზე დაწვებოდით დასაძინებლად?
ა) დაახლოებით შუაღამისას.
ბ) დაახლოებით ღამის პირველი საათის შემდეგ.
გ) 22 საათის მიდამოებში.

6. იფიქრეთ, შეგეძლოთ ადვილად გეთქვათ უარი:
ა) საღამოს ჩაის სმაზე.
ბ) დილის ყავაზე და (ან) ჩაიზე.
გ) თქვენთვის სულ ერთია, როდის დალიოთ ჩაი ან ყავა.

7. თუ გაჩნდება იმის აუცილებლობა ადგეთ დილით არა შვიდ საათზე, არამედ ექვსზე, დაწვებით ადრე?
ა) ალბათ, არა.
ბ) დიახ, აუცილებლად.
გ) დაწვებით ჩვეულებრივ დროს ადგომის მიუხედავად.

8. რას განიცდით, როდესაც დილით ადრე რეკავს მაღვიძარა?
ა) რეაგირებთ მშვიდად.
ბ) გიჩნდებათ სურვილი მოისროლოთ მაღვიძარა ფანჯრიდან.
გ) გააჩნია, რომელ საათზე დაწექით დასაძინებლად წინა დღით.

შეაჯამეთ ქულები ცხრილის გამოყენებით და გაეცანით დასკვნებს

	1	2	3	4	5	6	7	8
ა	0	0	3	6	6	3	6	3
ბ	3	3	6	3	0	6	0	6
გ	6	6	0	0	3	0	3	0

0-18 ქულა. ტოროლა. „ტოროლას“ რეჟიმს ექიმები უფრო ბუნებრივს უწოდებენ ადამიანისთვის. „ტოროლებს“ ნაკლებად აწუხებთ გულის დაავადება და სისხლძარღვთან დაკავშირებული ყოველგვარი პრობლემა.

21-33 ქულა. ბუ. ადამიანი რასაც თვითონ არ უნდა მიიჩნევდეს, მეცნიერთა გამოკვლევები მოწმობს, რომ აქტიურობა ღამის დროს კარგად არ აისახება ჯანმრთელობაზე. „ბუებს“ აქვთ მიდრეკილება ჰიპერტონიისა და სტენოკარდიისადმი.

36-48 ქულა. მტრედი. საშუალოა „ბუსა“ და ტოროლას შორის — არიტმულია. „მტრედები“ დანარჩენებთან შედარებით იოლად ეხამებიან ვითარებას, თუმცა, აქვთ მიდრეკილება დეპრესიებისადმი.

◎ დაიჯესტი

იპოვეთ საკუთარი არომატი

სუნამოს შერჩევა მეტად სასიამოვნო და, ამავე დროს, ერთობ რთული საქმეა. პარფიუმის არჩევისას მცოდნე ხალხი გვირჩევს კარგად რეკლამირებული ცნობილი ფირმების პოპულარულ ბრენდებს კი არ მავანიჭოთ უპირატესობა, არამედ საკუთარ გემოვნებასა და, რაც მთავარია, შეგრძნებებს უფრო ვენდოთ.

სპეციალისტები მამაკაცებსაც და ქალბატონებსაც პარფიუმის შეძენას სპეციალიზებულ მაღაზიებში ან დიდ მარკეტებში ურჩევენ. ამით მყიდველს მეტი საშუალება ეძლევა ათასნაირი ყალბი პროდუქციის შეძენას თავი აარიდოს, რომელიც ბოლო დროს ძალიან მომრავლდა. როცა სუნამოს ან ოდეკოლონის შესაძენად წახვალთ, თავად ეცადეთ არანაირი პარფიუმი არ იხმაროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალ არომატს მთელი სისრულით ვერ აღიქვამთ.

მრავალი არომატიდან საკუთარის არჩევა საკმაოდ ძნელი საქმეა, ამიტომ მაღაზიაში წასვლისას თან მუჭა ყავის მარცვალიც მიაყოლეთ— მათი არომატი წინა სუნამოს არომატის გაქარწყლებაში დაგეხმარებათ. საერთოდ კი პარფიუმერები გვირჩევენ ერთ ჯერზე ორ-სამ არომატზე მეტი არ გავსინჯოთ, რადგან მეტის ყნოსვისას ცხვირმა შეიძლება „გიღალატოთ“.

სუნამოს არჩევანი, თურმე, კანის სახეობასა და თმის ფერზე ყოფილა დამოკიდებული. შავგვრემან ქალბატონებს, ჩვეულებრივ, კანი უფრო ცხიმიანი აქვთ და არომატს უკეთ იკავებს. ქერათმიანებს კი კანი უფრო მშრალი აქვთ, ამიტომაც არომატული ნივთიერებები უფრო მალე ორთქლდება. ამიტომ შავ და წაბლისფერთმიან ქალბატონებს უფრო მძაფრი არომატის სუნამოებს ურჩევენ, ქერათმიანებს კი — უფრო ყვავილოვანი არომატების არჩევას სთავაზობენ.

შემოსავლის შემცირება

განვითარებადი ქვეყნებისთვის მეტად არასასიხარულო ამბავია, რომ მსოფლიოს უდიდესი ბანკების წარმომადგენლების აზრით, ინვესტორებმა ასეთ ქვეყნებში ინვესტიციების ჩადებისგან თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავონ.

უახლოეს ათ წელიწადში განვითარებადი ბაზრის მქონე ქვეყნების ვალუტებისა და სახელმწიფო ობლიგაციების მნიშვნელოვნად შესუსტება, ამ პროგნოზის საფუძველზე ისეთი დიდი საფინანსო ინსტიტუტის ექსპერტები, როგორიცაა „გოლდმან საქსი“ რეკომენდაციას იძლევიან, რომ ინვესტიციების მოცულობა განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკებში სამჯერ ნაკლები დააბანდონ. „ჯენერალ მორგანის“ სპეციალისტების გათვლებით კი ამ ტიპის ქვეყნების ობლიგაციები, რომლებიც ადგილობრივ ვალუტებშია განთავსებული, წლეულს ინვესტორებს 2004 წლის შემოსავლის საშუალო მაჩვენებლის მხოლოდ 10 პროცენტს მოუტანს.

ღმერთი, მართალია, არავის უნახავს. საკუთარი გონება?..

უხსოვარი დროიდან მოყოლებული ადამიანი ცდილობს იმის გაგებას, შესაძლებელია თუ არა ლოგიკურად ღმერთის არსებობის დასაბუთება. შესაძლებელია თუ არა სამყაროს შემოქმედის არსებობის დამტკიცება თუ იგი თავისით წარმოიშვა?

სხვადასხვა ეპოქის, ეროვნების, კულტურის, განათლებისა და აღზრდის განსხვავებული დონის მქონე ადამიანები, რომლებმაც არა თუ ერთი მეორის შესახებ არაფერი იციან, არამედ ერთმანეთის არსებობაზეც კი წარმოდგენა არა აქვთ, გასაოცრად ერთნაირად მოწმობენ უფლის არსებობის რეალურ, ენით აუწერელ და უკიდეგანო აღქმას. სწორედ რომ უფლის და არა „რაღაც“ მისტიკურის, ზებუნებრივის. ეს ხალხი საოცრებებს სჩადიოდა, ჭვრეტდა მომავალს, უხმოდ იტანდა წამებასა და შეურაცხყოფას, სულს აძლევდა უფლის ურყევი რწმენის გულისთვის. ამიტომ, განა შეიძლება მათი გამოცდილების უარყოფა, კაცობრიობის ისტორიაში ამ გრანდიოზული ფაქტის იგნორირება?

ამასთან, ყველაზე გასაოცარი ისაა, რომ სამყაროს ანტროპულ (გონიერ) მოწყობას მეცნიერებაც ადასტურებს. კერძოდ, ნათქვამია: „ყველაფერში, დაწყებული სუსტ და ძლიერ ბირთვულ ურთიერთქმედებიდან, გრავიტაციისა და ელექტრომაგნიტურ რხევათა განმსაზღვრელი მუდმივებიდან, დამთავრებული ძირითადი ბიოლოგიური წანამძღვარებით, ვხედავთ, რომ ერთიანად კოსმოსი, კერძოდ, ჩვენი მზე და განსაკუთრებით, დედამიწა, ჩვენზე (ანუ ადამიანებზე) იმდენად ზუსტადაა მორგებული, რომ ყოველ მიზეზგარეშე ჩნდება კითხვა: ღმერთმა ანდა ანალოგიურმა ვინმემ ხომ არ შექმნა ყოველივე ეს სწორედ რომ ჩვენთვის?“

განა შეიძლება უფლის უარყოფა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ „იგი არავის უნახავს“? განა საკუთარი გონება თავის თვალით ვინმეს უნახავს? პასუხი ცხადზე ცხადია. აბა, სხვა რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ შემთხვევაში?!..

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 11 აპრილს

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **რას** განიხილავს ეს სასამართლო პროცესი?
— ძარცვისა და გაუპატიურების ფაქტებს.
— მერე რატომაა პროცესი დახურული? ვისი გადაწყვეტილებაა?
— შინაგან საქმეთა სამინისტროსი. იქ მიაჩნიათ, რომ მისი გახმაურების შემთხვევაში, მათი რეპუტაცია დაზარალდება.
— რა გაძარცვეს?
— ბანკი.
— და ვინ გააუპატიურეს?
— განგაშის სიგნალზე მისული სპეცდანიშნულების რაზმის წევრები.

* * *

წარწერა სასაქმებელი წამლის კოლოფზე: „მაღალი ეფექტურობის პრეპარატი. მიიღეთ მხოლოდ უნიტაზზე ჯდომისას“.

* * *

„რამდენმა წყალმა ჩაიარა. მე კი რა მინახავს კარგი?“ — ოხრავს უნიტაზი.

* * *

— **ექიმო**, გადავწყვიტე, რომ გავიარო პროფილაქტიკური მკურნალობა. მითხარით, რას მივაქციო ყურადღება? — ეუბნება ქალი თეთრხალათიან მამაკაცს.
— თავდაპირველად კოსმეტოლოგს მიაკითხეთ, ცუდი გარეგნობის გამო ბევრ ფულს ხარჯავთ კოსმეტიკისთვის.
— მართალი ბრძანდებით.
— დიეტოლოგთანაც შეიარეთ, ზედმეტი წონა გაქვთ.
— კარგი.
— და კიდევ, მხედველობაც გაისინჯეთ.
— ეს რატომ?
— იმიტომ, რომ ჩემს კარს დიდი ასოებით აწერია „ვეტერინარი“.

* * *

რუსეთში უკვე აღარ ზეიმობენ ახალ წელს. იქ იმას ზეიმობენ, რომ ძველი წელიწადი გადაიტანეს.

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24